ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 6 მარტი, 2018 №54 (7599) ფასი: 50 თეთრი

ბიზნესმენ თემურ ჭყონიას პროკურატურა თაღლითობაში ადანაშაულებს

გვ.2

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ქართული დეტექტივი ტომი მე-15

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„ლომჯარია და ჩუგოშვილი „ოცნებას“ აშანტაჟებენ“

გვ.2

„მმართველ გუნდს პრეზიდენტად ქალის კანდიდატურის დასახელება აშშ-ის ელჩმა მოსთხოვა“

გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლებას პრეზიდენტი აღარ უნდა დავანიშნინოთ“

გვ.3

„ოცნება“ ხელისუფლების გადაბარებისთვის ემზადება?

„აშშ „ევროპულ საქართველოს“ გვატენის“

ნანა დევდარიანი: „ნატოში შესვლა არაფერს მოგვცემს“

გვ.4

„ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი არ იქნებოდა“

გვ.5

გვ.4

ანზორ აბრალავა: „ვინმეს ანტირუსულობა საქმით უნდა გამოჩნდეს“

სამართალი გვ.7

ანა დოლიძემ საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეიტანა — „აცილების გადაწყვეტილება უკანონო იყო“

დიღმის მასივში არასრულწლოვანი მე-8 სართულიდან გადმოვარდა

რუსთავში მაღაზია დააყაჩაღეს — წაღებულია 500 ლარი

ეკონომიკა გვ.6

არსებული დაბალი ხელფასები „ღირსეული პენსიის“ აღების საშუალებას არ იძლევა

გიორგი სალაყაია: იმპორტიორები „ბადაგონთან“ კონტრაქტებს წყვეტენ

შეგიძლიათ თუ არა უცხო ქვეყანაში სესხის აღება?

ISSN 1987-9385

4 „ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში, ქარლო ღურწკაიას სახლში, უკვე მოკლული მიიყვანეს“

5 ბიზნესომბუდსმენი „ბადაგონის“ საქმეზე განცხადებას ავრცელებს

3 „მასწავლებლების უმრავლესობა ქართამს იღებს ნიშნის დაწერის სანაცვლოდ“ — რა ხდება სკოლებში

5 „წლების წინ ავტობუსები გადაიქცნენ მიკროავტობუსებად, რაც ძალიან ცუდი ფაქტი იყო“

„ლომჯარია და ჩუგოშვილი „ოცნებას“ აშანტაჟებენ“

„მმართველ გუნდს პრეზიდენტად ქალის კანდიდატურის დასახელება აშშ-ის ელჩმა მოსთხოვა“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება „ოცნების“ კულუარებში, ვის ლობირებს აშშ-ის ელჩი, რა კომპრომატების გამოქვეყნებით იმუქრება ჩუგოშვილი-ლომჯარიას ტანდემი, რატომ არ უნდა დავუშვათ კიდევ ერთხელ პრეზიდენტის დანიშვნა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

– გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის პროცესი დაიწყო. ამ ეტაპზე, როგორც ამბობენ, თეა წულუკიანის და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურები განიხილება. თქვენი ინფორმაციით კი, ვიცე-სპიკერ თამარ ჩუგოშვილზეც მიდის საუბარი.

– „ქართული ოცნებისგან“ რაიმე უნდა გაგვიკვირდეს? სადაც ახმეტაში, ხულოსა და ხაშურში მეტროპოლიტენით სარგებლობის გადასახადს აწესებენ, იქ რა აზრი აქვს იმას, თუ ვინ იქნება მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატი.

მთელი „ოცნება“ ერთ დიდ გაუგებრობაშია, ისიც არ იციან, რა ქნან, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოადგათ და იძულებული არიან, კანდიდატი დაასახელონ. უნდათ ისევე დაგვინიშნონ პრეზიდენტი, როგორც ეს მისტერ ვეტოს – პლასტელინის კაცის, გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში იყო.

მმართველ ძალას ერთი რამე ავიწყდება – 2013 წლისგან განსხვავებით, დღეს საქართველოში სულ სხვა რეალობაა. ამიტომაც აქვთ ასეთი გულყრები და ამიტომაც მიმართავენ ასეთ ეშმაკურ მეთოდს. ჩუმად გვაპარებენ სხვადასხვა პერსონებს. მიდის დატესტვა, აინტერესებთ, როგორია ამა თუ იმ პერსონის მიმართ ხალხის განწყობა. ამ ეშმაკობით არაფერი გამოუვათ – ყველა მაგათი ნაბიჯი ვიცით, როგორც კულუარული, ასევე ნახევრად ოფიციალური.

საქმე კი ისაა, რომ ისტორიულ სამშობლოში წასვლამდე აშშ-ის სამარცხვინო ელჩმა „ოცნებას“ დავალება მისცა. მან მოითხოვა, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი აუცილებლად ქალი უნდა იყოს.

– ელჩის მოთხოვნით გადაწყვიტეს პრეზიდენტის პოსტზე ქალის წარდგენა?

– რა თქმა უნდა. იან კელის ელჩი ოფიციალურად ჰქვია, თორემ სინამდვილეში გენერალ-გუბერნატორია. ხელისუფლება მის ყველა მოთხოვნას ასრულებს. იან კელიმ „ოცნებას“ დაუქნია თითი, რომ კანდიდატი აუცილებლად ქალი უნდა იყოს, თანაც ეს ქალი აუცილებლად არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს.

ნინო ლომჯარია სახალხო დამცველად რომ არ დაენიშნათ, ელჩის მოთხოვნით, „ოცნება“ პრეზიდენტის პოსტზე მის კანდიდატურასაც დაასახელებდა.

გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლებას პრეზიდენტი აღარ უნდა დავანიშნინოთ“

რაკი ეს ქალბატონი ომბუდსმენი გახდა, პრეზიდენტის კანდიდატად მისი კურსელი და მეგობარი თამარ ჩუგოშვილი განიხილება. ეს ქალბატონიც არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოდის.

ყოველი შემთხვევისთვის, „ოცნებაში“ პრეზიდენტად თეა წულუკიანის და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურებიც განიხილება. მმართველ გუნდში ამ საკითხზე გაგანია მსჯელობა მიდის. ზოგი რომელ კანდიდატურას ლობირებს, ზოგი – რომელს. მინდა ვუთხრა ამათ, რომ ტყუილად აქტიურობენ – საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

– გადაწყვეტილებას თუ ის მიიღებს, ამათ რატომ ალაპარაკებს?

– ამათ დატესტვის რეჟიმში უნდა იმუშაონ. ნელნელა მიდის საზოგადოებისთვის სავარაუდო კანდიდატურების შეპარება.

– საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებსო. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მან სულ სხვა კანდიდატურა დაასახელოს, რომლის გვარი მანამდე არ იყო გაჟღერებული?

– გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მაინც ნაკლებად სავარაუდოა. უნდათ, რომ მათი პრეზიდენტობის კანდიდატი ქალი იყოს. დასავლეთი ითხოვს ასე და ესენიც ემორჩილებიან.

ყველა შემთხვევაში იმ გეგმაზე მუშაობენ, რაც გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში მოხდა. შეეცდებიან, კიდევ ერთხელ დანიშნონ პრეზიდენტი. რასაც არც საზოგადოება არა დაუშვებს და არც ოპოზიცია.

– თქვით, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ლომჯარია განიხილებოდა. რამდენიმე თვის წინ თქვენ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ მისი არჩევა რომ მომხდარიყო, ლომჯარიამ და ჩუგოშვილმა „ოცნება“ დააშანტაჟესო.

– ახლაც გიდასტურებთ, რომ ასე იყო. ქალბატონი ლომჯარია აუდიტის სამსახურში მუშაობდა. მან „ოცნების“ წევრებზე საკმაოდ სერიოზული კომპრომატები მოიპოვა. მან და ჩუგოშვილმა ეს კომპრომატები იმისთვის გამოიყენეს, რომ სახალხო დამცველის პოსტი ჩაეგდოთ ხელში.

– ასეთი სერიოზული კომპრომატები თუ ჰქონდათ, ბარემ იმისთვის ებრძოლათ, რომ ლომჯარია გამხდარიყო საპრეზიდენტო კანდიდატი.

– ეტყობა, იმ მომენტისთვის სახალხო დამცველობა არჩიეს მისთვის. ამ კომპრომატების გამოყენება ახლაც შეიძლება, ოღონდ ჩუგოშვილის სასარგებლოდ. არასამთავრობოები, საიდანაც ეს ქალბატონები მოდიან, მთელ ქვეყანას განაგებენ, ისინი თავიდან ბოლომდე არიან ჩართული საკადრო პოლიტიკაში. მათი მხრიდან შანტაჟი გამორიცხული არ არის. მათ თავიანთი სამყაროს შექმნა უნდათ და ძალიან ცუდია, რომ მკვდრად შობილი „ქართული ოცნება“ არაფერს უპირისპირებს ამას.

„ქართული ოცნება“ აღარც წინა რეჟიმის წარმომადგენლებს უპირისპირდება. არაფერს აკეთებს მათ სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად. ნაცების ორივე ფრთაც გატრუნულია და კახა კალაძეს ხშირად აღმატებულ ხარისხში მოიხსენიებს. ძველი და დღევანდელი ხელისუფლება ფაქტიურად ერთნი არიან.

თუ გვინდა, რომ „ოცნებამ“ იგივე არ გაიმეოროს, რაც 2013 წელს გააკეთა, ოპოზიციამ სერიოზულად უნდა იმუშაოს. კარგი იქნება, თუ ერთიან კანდიდატურაზე მოხდება შეთანხმება.

ერთიან კანდიდატურად სულ დავით აღმაშენებელი და ჩერჩილი რომ დავასახელოთ, საქართველოში გამოჩნდება ხალხი, ვინც მათ დაიწუნებს. არ ვიცი, იქნება თუ არა ჩვენი პარტიის ლიდერი ოპოზიციის კანდიდატი, მაგრამ ნინო ბურჯანაძე კენჭს ნამდვილად იყრის.

„ოცნების“ სავარაუდო კანდიდატები ჩვენი კანდიდატისგან ისე განსხვავდებიან, როგორც მოსკოვის სპარტაკის რომელიმე ფეხბურთელი ლივერპულელი სალაჰისგან, ბარსელონელი მესისგან, ბავარიელი ლევანდოვსკისგან და მადრიდელი რონალდუსგან.

საზოგადოებაზეც ბევრი რამე იქნება დამოკიდებული. ხალხმა აღარ უნდა დაუშვას, რომ „ოცნებამ“ კიდევ ერთხელ დაგვისვას პრეზიდენტად თავისი კანდიდატი. ხალხი თუ ისევ გაისუსება, სუსი თავის საქმეს გააკეთებს და ასეთ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მმართველი ძალის კანდიდატი.

ბიზნესმენ თემურ ჭყონიას პროკურატურა თაღლითობაში ადანაშაულებს

ბიზნესმენ თემურ ჭყონიას მთავარი საგამოძიებო უწყება თაღლითობაში ადანაშაულებს. თაღლითურ სქემაში პროკურატურის დადგენილების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ კიკორიაც ფიგურირებს. ინფორმაციას 1tv.ge ავრცელებს.

დანაშაული მძიმე კატეგორიისაა და ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. უცხოელი ინვესტორის ადვოკატის მტკიცებით, მათ მიერ 2009 წელს შეტანილი საჩივარი პროკურატურიდან გაქრა.

თურქი ბიზნესმენი ალი ტურგაი იეტიში ამბობს, რომ ჭყონიამ მას ბანკის წილები თაღლითურად წაართვა და დოკუმენტების გაყალბების გზით, უცხოელი ინვესტორების საკონტროლო პაკეტს, 65 %-ს დაეუფლა. მისივე მტკიცებით, დანაშაულში ჭყონიას ქართველი პარტნიორი მურთაზ კიკორიაც მონაწილეობდა, რომელიც ამჟამად ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტია.

– თემურ ჭყონია კორუმპირებულია. დიდი ოდენობით თანხა მიითვისა. მხოლოდ წილები კი არა, დიდი ფული დამაკარგვინა, რომელიც მე საერთო ბიზნესში ჩავდე. დოკუმენტები კიკორიამ და ჭყონიამ გააყალბეს. მე ვითხოვ ჩემს ფულს, – აცხადებს თურქი ბიზნესმენი.

ფაქტი, რომელზეც ჭყონიას თურქი პარტნიორი საუბრობს, 2000 წელს მოხდა, თუმცა, მთავარმა პროკურატურამ გამოძიების შედეგები 5 თვის წინ დადო. საგამოძიებო ორგანოს დადგენილება სკანდალურია: დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ ჭყონიამ დოკუმენტი გააყალბა და მისი უცხოელი პარტნიორების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა, დანაშაულებრივი გზით მიითვისა.

პროკურატურის დადგენილების მიხედვით, თაღლითურ სქემაში მურთაზ კიკორიაც მონაწილეობდა, რომელიც მაშინ ჭყონიას ბანკის, სს „ექსპორტ-იმპორტ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტი 2000 წელს განხორციელდა „ექსპორტ იმპორტ ბანკი“ კი 1995 წელს დაფუძნდა და წერეთლის №114-ში მდებარეობდა, სადაც ახლა „კოკა კოლას“ შენობაა. მაშინ წილები ასე ნაწილდებოდა: ალი ტურგაი იეტიში -25%, შერეფ დოღან ერბეკი -25%, ვერნერ მეტცი-15%, დანარჩენ 35%-ს კი ჭყონია და მისი ქართველი პარტნიორები, მათ შორის, მურთაზ კიკორიაც ფლობდნენ.

ვინაიდან, ჭყონიას ბანკის საკონტროლო პაკეტის მფლობელები, შვეიცარიელები და თურქი ბიზნესმენები იყვნენ, საწესდებო კაპიტალშიც 2 მილიონიდან მათი შენატანი ყველაზე მეტი, 1.3 მილიონი ლარი იყო. 1999 წელს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი 5 მილიონამდე უნდა გაზრდილიყო. მაშინ ჭყონიამ და კიკორიამ სს „ექსპორტ-იმპორტ ბანკის“ სხვა საბანკო დაწესებულებასთან გაერთიანების გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღეს. პროკურატურის მტკიცებით, ჭყონიამ უცხოელ პარტნიორთა აქციების დაუფლების მიზნით მოლაპარაკებები სს „დისკონტ ბანკთან“ მათ გარეშე აწარმოა.

ორი ბანკის გაერთიანების შემდეგ უცხოელი პარტნიორები აღარ ფიგურირებდნენ. როგორც „დისკონტ ბანკის“ მაშინდელი ხელმძღვანელი პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში უთითებს, წილების თაობაზე პირობები მურთაზ კიკორიამ განსაზღვრა. ალი ტურგაი იეტიშის ადვოკატ ალექსანდრე ალადაშვილის თქმით, ორი ბანკის გაერთიანების ხელშეკრულება, სადაც უცხოელი პარტნიორები მათი თანხმობის გარეშე ამოიღეს, ხელი კიკორიამ მოაწერა. ორი ბანკის გაერთიანების შემდეგ, საფინანსო ორგანიზაციას „აბრეშუმის გზა“ , შემდგომ კი – „სილქროუდ ბანკი“ დაერქვა.

მას შემდეგ, რაც ალი ტურგაი იეტიშმა მეწილეებში საკუთარი თავი ვეღარ აღმოაჩინა, სასამართლოს სამოქალაქო წესით მიმართა და საწესდებო კაპიტალში შეტანილი თავისი წილის დაბრუნება მოითხოვა. ხანგრძლივი დავის შემდეგ სასამართლომ მისი უფლებების დარღვევის ფაქტი დაადგინა. თუმცა, მოთხოვნილი თანხიდან ჭყონიას მხოლოდ 250.000 ლარის გადახდა დაეკისრა, რომელიც მან გადაიხადა.

დაზარალებულმა 2009 წელს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განცხადება შეიტანა და დავა უკვე სისხლის სამართლის წესით გადაწყვიტა. თუმცა, მაშინ გამოძიება არ ჩატარებულა.

ალი ტურგაი იეტიში ფიქრობს, რომ ჭყონია წინა ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდა და ამიტომ მის წინააღმდეგ 2009 წელს საქმე არ გამოიძიეს. 2012 წელს ტურგაის ადვოკატმა პროკურატურას მიმართა და საქმის გამოძიება კვლავ მოითხოვა. პროკურატურის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები ჭყონიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველს იძლევა. თუმცა, საქმე უკვე ხანდაზმულია და ბიზნესმენს ბრალს ვერ წაუყენებენ.

საგამოძიებო ორგანოში განმარტავენ, რომ ხანდაზმულობის ვადა თავად ადვოკატმა დაარღვია, რადგან განცხადება 2012 წელს შეიტანა, თუმცა, ადვოკატ ალექსანდრე ალადაშვილის თქმით, მან თავდაპირველად პროკურატურას 2009 წელს მიმართა.

ადვოკატი პროკურატურის მხრიდან დანაშაულის დაფარვაზე საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ მის მიერ 2009 წელს საგამოძებო ორგანოში შეტანილი განცხადება, გააქრეს.

თემურ ჭყონიამ ამ საკითხზე „პირველ არხთან“ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. „ქვეყანაში უამრავი საინტერესო თემაა, რაში გაინტერესებთ ეს თემა, ეს არის ჭორიკნობა... არასწორი მენტალიტეტი გაქვთ. რა არის ეს, რა უბედურებაა“, – განუცხადა ჟურნალისტს სატელეფონო საუბარში. აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს მურთაზ კიკორიაც.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ხელისუფლების გადაბარებისთვის ემზადება?

შორენა მარსაგიშვილი

„აშშ „ევროპულ საქართველოს“ გვატენის“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ხანძრების უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან“

რითი ჰგავს დღევანდელი პროცესები ვარდების რევოლუციის წინა პერიოდს, ვის სურს საქართველოში დესტაბილიზაცია, რატომ გახშირდა ხანძრები, ვინ ლობირებს „ევროპულ საქართველოს“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** ესაუბრება.

– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ გახშირებული ხანძრების უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან. რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ დასკვნას?

– შევარდნაძის დროს მთელი საქართველო „ბუტკებად“ და ბაზრობებად იყო ქცეული, მაგრამ მაშინ ერთი ხანძარიც კი არ გაჩენილა სავაჭრო ობიექტებში. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში დენი მიდი-მოდიოდა და მოკლე ჩართვებისთვის ხელსაყრელი ნიადაგი იყო, მაგრამ არც ერთ ბაზრობაზე არ გაჩენილა ხანძარი. 2014 წლის მერე რამდენიმე მსხვილი სავაჭრო ობიექტი დაიწვა.

ამდენი ხანძარი საეჭვოა, თან როგორც კი სადმე ალი ავარდება, იქ უმალ ჩნდება რუსთავი 2-ის მიკროფონი. სიუჟეტში ვიღაცები ყვირიან, რომ ხანძარი ივანიშვილმა გააჩინა.

რაში აწყობს ხელისუფლებას ხალხის გაბნყენება? ხალხი „ქართული ოცნებით“ ისედაც დიდად აღტკინებული არ არის, ქვეყანაში ისედაც უამრავი პრობლემაა. ასეთ ვითარებაში ხალხის გამწარება და კრიტიკული მასის გაზრდა ხელისუფლების ინტერესებში არ შედის.

აშკარაა ისიც, რომ ეს ხანძრები ხელოვნურად არის გაჩენილი და ამის უკან ვიღაც დგას. ეს ვიღაც შეიძლება იყოს ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, ან ნაციონალური მოძრაობა.

– ნაციონალურ მოძრაობას რაში აწყობს ეს ხანძრები?

– კრიტიკული მასის გასაზრდელად. ეს ის ძალაა, რომელმაც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს ხურჩაში ავტობუსი ააფეთქა. ამ პარტიის ლიდერი სააკაშვილი ნიკა გვარამიას სატელეფონო საუბრისას ეუბნებოდა, მუხტის ასაწევად ორსული ქალი მოკალითო. იგივე სააკაშვილი თავის მეგობარ სოფო ნიჟარაძეს არწმუნებდა, სისხლი დაიღვრებაო. გაიძახოდა, ქინძი ვიყოო.

– ქინძი ხანძართან რა შუაშია?

– ქინძი არაფერ შუაშია, ნაციონალები არიან ყველა უბედურების სათავეში. ხურჩაში ავტობუსის ამფეთქებლები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

– სააკაშვილი რატომ არ დაიჭირეს, რომელიც, როგორც თქვენ თქვით, საპროტესტო მუხტის ასაწევად ფეხმძიმე ქალის მოკვლას ითხოვდა?

– სააკაშვილი როგორ უნდა დაიჭირონ, როცა რომელიმე რიგითი ნაცის დაჭერასაც ამხელა ამბავი მოსდევს. ამ ადამიანის დაჭერა პოლიტიკური საკითხია. ახლა რაც შეეხება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს, ხანძრებში მათი მონაწილეობა არ უნდა გამოირიცხოს. მოსახლეობაში უკმაყოფილების მუხტის შეტანა მათ ინტერესებშიც არის.

– რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები გვიკიდებენ ცეცხლს?

– ყველას რატომღაც რუსეთზე ემართება ელეთ-მელეთი. არადა, ჩვენ მიმართ სხვა ქვეყნებსაც აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები. არც ერთ ჩვენ მეზობელთან არ არის დადგენილი საბოლოო საზღვარი. ამიტომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. დივერსია, შესაძლოა, ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურმა მოგვიწყოს.

ახლა ვიღაც გამოვარდება და იტყვის, დივერსია თუ არის, ეს უნიათო მთავრობა რატომ არ იძიებსო.

– რაღა ვიღაცა, მეც მაინტერესებს, დივერსია თუ არის, რატომ არ იძიებენ?

– არ არის ასეთი საქმის გამოძიება ადვილი. მაინტერესებდა, როგორი სტატისტიკაა დასავლეთში ხანძრების გამოძიებისა. არც იქ არის ამ მხრივ სახარბიელო სურათი. როდესაც ყველა ნივთმტკიცება ნადგურდება, ძალიან ძნელია იმის დადგენა, რისგან გაჩნდა ხანძარი.

როგორც ამბობენ, საქართველოშიც შემოვიდა რაღაც ფხვნილი, რომელსაც რომ დაყრი, ცოტა ხანში ალდება და ხანძარს აჩენს. ხანძრების გამოძიება დასავლეთშიც უჭირთ. ეს კარგად იციან სპეცსამსახურებმა და ამ ფორმით უწყობენ საქართველოს დივერსიას.

ბოლო წლებში საქართველოდან 800.000-მდე ადამიანი გავიდა. ამ ხანძრებმა უამრავი ადამიანი დატოვა ულუკმაპუროდ. საქართველოდან წასვლას ისინიც შეეცდებიან. ასე ნელნელა იცლება საქართველო.

– გინდათ თქვათ, რომ ხანძრებს იმიტომ აჩენენ, რომ საქართველო მოსახლეობისგან დაიცალოს?

– საქართველო რომ ქართველებისგან დაიცალოს, ამაზე ბევრი ოცნებობს. უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს სხვა მიზანიც აქვთ – უკმაყოფილო ხალხი ხელისუფლებას დაუპირისპირდეს. ადამიანები ისე არიან გამწარებული, რომ ისინი, შესაძლოა, ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ გამოიყენოს.

რუსთავი 2-მა, მაგალითად, ბეზ სუდა ი ბეზ სლედსტვია საქმე გახსნილად გამოაცხადა და ივანიშვილი დაადანაშაულა ხანძრების მოწყობაში.

– თქვენც ბეზ სუდა ი ბეზ სლედსტვია არ დაადანაშაულეთ ნაციონალები და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ხანძრების მოწყობაში?

– მე არავინ არ დამიდანაშაულებია, მხოლოდ ეჭვი და ვარაუდი გამოვთქვი. რუსთავი 2-ზე ყურადღება მხოლოდ იმიტომ გავამახვილე, რომ ის ნაცების პროპაგანდისტული მანქანაა. და რადგან მათი მხრიდან ასეთი აზრის ჩამოყალიბება ხდება, ბუნებრივად მიჩნდება კითხვა, ამ ხანძრების უკან თავად ნაციონალები ხომ არ დგანან.

შექმნილი ვითარება ძალიან მაგონებს ვარდების რევოლუციის წინა პერიოდს. ამ თემაზე არაერთხელ მისაუბრია შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებთან – კობა ნარჩემაშვილთან და ლევან კენჭაძესთან. ისინი ყვებოდნენ, რომ ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე საქართველოში საეჭვოდ დაიწყო დენის გამორთვა.

ვიღაც ტიპები სვანეთში, მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს აფეთქებდნენ და მთელი საქართველო სიბნელეში იყო. ეს მაღალჩინოსნები იხსენებენ, რომ რამდენჯერმე ჰქონდათ მცდელობა, ჩაერთოთ დენი, მაგრამ მიიღეს მითითება – ნუ ჩაერევით ამ საქმეში.

იმ პერიოდში მოსახლეობამ არაერთხელ გადაკეტა რუსთაველი და საბურავებს ცეცხლი წაუკიდა. შსს-ს არც ამ აქციის დაშლის უფლება მისცეს. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ქვეყანაში კრიტიკული მასა გაზრდილიყო.

მთელი ის წლები სიბნელეში ვისხედით, მაგრამ როგორც კი ვარდების რევოლუცია მოხდა, ქვეყანაში დენის პრობლემა უცბად მოგვარდა. არადა, ნაციონალებს არც ახალი ჰესი აუშენებიათ და არც თბოსადგური.

იგივე ვითარებაა დღესაც. ახლა განსხვავება ისაა, რომ დენის ჩაქრობის ნაცვლად, ბაზრობებს წვავენ. ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის თემა გააქტიურდა. ეს თემა ვარდების რევოლუციის წინა პერიოდშიც ძალიან აქტუალური იყო. მის მკვლელობაში შევარდნაძის ხელისუფლება რომ ყოფილიყო გარეული, ნაციონალები 9 წელი იყვნენ ხელისუფლების სათავეში და როგორმე გამოიძიებდნენ.

– იქნებ არც მათ აწყობდათ ამ საქმის გამოძიება?

– ამაში შევარდნაძის მთავრობა რომ ყოფილიყო გარეული, სააკაშვილი ამ საქმეს დიდი ზარ-ზეიმით გამოიძიებდა, ყოველ წინადადებაში შევარდნაძეს ახსენებდა და ამ შანსს გაუშვებდა ხელიდან? სანაიას თემა სულ სხვა მიზნით არის გააქტიურებული. ხელისუფლება უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდოს ამ დივერსიებს. თორემ ამ ქმედებებმა შესაძლოა ბაზრობებიდან უკვე სტრატეგიულ ობიექტებზე გადაინაცვლოს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, არსებული სურათი ძალიან წააგავს ვარდების რევოლუციის წინა პერიოდს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ რიგებში უკვე გაჩნდა ბზარი.

– რა ბზარს გულისხმობთ?

– სოფლის მეურნეობის მინისტრი გააკრიტიკეს ფაროსანას გამო. „ოცნებამ“ პრეტენზია გამოთქვა იმის გამო, რომ ეს უწყება მავნებლის დასამარცხებლად არაფერს არ აკეთებს.

– „ოცნება“ ინფრასტრუქტურის მინისტრსაც დაუპირისპირდა. დეპუტატმა ოთარ დანელიამ მინისტრი ალავიძე მწვავედ გააკრიტიკა პარლამენტის სხდომაზე.

– მაგასაც დაუპირისპირდნენ და სოფლის მეურნეობასაც. გუნდი უკმაყოფილოა, რომ არც ერთი უწყება არ ებრძვის ფაროსანას სათანადოდ. ჩვენ ვნახეთ ისიც, რომ რაღაც ფლანგებზეც დაიწყო ბრძოლა.

– რა ფლანგებს გულისხმობთ?

– რაღაც გუნდები წარმოიქმნა მმართველ გუნდში. ასე მოხდა მოქალაქეთა კავშირის დროსაც. მაშინდელ მმართველ პარტიას ე.წ. რეფორმატორები გამოეყვნენ. მხედველობაში მყავს სააკაშვილი-ჟვანია-მაჭავარიანის გუნდი.

„ოცნებამ“ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ იგივე არ მოხდეს, რაც 2003 წელს მოხდა. თუ არაფერს არ იღონებენ, გაჩნდება ეჭვი, რომ მიმდინარეობს ხელისუფლების გადაბარება.

– თქვენ ვარდების რევოლუციის წინა პერიოდი ახსენეთ და მაშინაც აქტიურად საუბრობდნენ ხელისუფლების გადაბარებაზე. გამოკვეთილი იყო ნაციონალების ფლანგი. ახლაც ბევრს საუბრობენ გადაბარებაზე და გამოკვეთილი ძალაც არის – ბოკერიას ფლანგი. კახა კალაძემ პირდაპირ თქვა, რომ მასთან ითანამშრომლებს. მოხდება თუ არა „ევროპული საქართველოსთვის“ ხელისუფლების გადაბარება?

– კალაძის განცხადებამ ეს ხმები გააღვივა. შესაძლოა, მმართველ გუნდს ძალიანაც არ მოსწონს ბოკერია და მისი გუნდი, მაგრამ იძულებულია, მათთან ითანამშრომლოს. ჩვენც ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ასეა და „ოცნებას“ მათთან თანამშრომლობის სურვილი არა აქვს.

– სურვილი თუ არა აქვთ, რატომ თანამშრომლობენ?

– იმიტომ, რომ იძულებული არიან. უნდათ თუ არა, ეს უნდა გააკეთონ.

– რატომ უნდა გააკეთონ, ვინ აძალებს?

– ვინ და ამერიკა. ეს ამერიკა გვატენის ჩვენც და „ოცნებასაც“ „ევროპულ საქართველოს“. დასავლეთიდან პირდაპირ მოდის დირექტივები, რომ ხელისუფლებამ ამ ოპოზიციურ ძალასთან ითანამშრომლოს.

აშშ-დან ჩამოსული მაღალი რანგის სტუმრებიც მხოლოდ „ევროპულ საქართველოს“ ხვდებიან ოპოზიციიდან. ოპოზიციასთან შეხვედრა თუ უნდათ, შეხვდნენ ბურჯანაძის პარტიას, ან პატრიოტთა ალიანსს. ვთქვათ, ბურჯანაძეს იმიტომ იწუნებენ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაა. პატრიოტთა ალიანსს რა სჭირს მათი დასაწუნი? საპარლამენტო პარტიაა, საკანონმდებლო ორგანოში 6 კაცი ჰყავთ და მათი ერთერთი ლიდერი – ირმა ინაშვილი ვიცე-სპიკერია.

აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ – დასავლეთი ნაცების გარდა სხვა ოპოზიციას არ ცნობს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლეთში რომ ჩადიან, იქ პირდაპირ ეუბნებიან – ნაციონალებს ხელი არ ახლოთო.

– ვის უთხრეს?

– თუნდაც ბიძინა ივანიშვილს. ამის შესახებ მან თავად ისაუბრა, როცა პრემიერი იყო. მას ნათლად უთხრეს, რომ ყოფილი ხელისუფლება ის ძალაა, რომელიც საქართველოში მთავარი ოპოზიცია უნდა იყოსო. სადაც ივანიშვილს შეუტიეს, იქ „ოცნების“ სხვა ლიდერებსაც შეუტევდნენ.

„ევროპული საქართველოს“ თუ ნაცების მიმართ ასეთი თბილი დამოკიდებულება არც მე მსიამოვნებს, მაგრამ რეალობაც უნდა გავითვალისწინოთ. მათ უკან დასავლეთი დგას.

– და ამის გამო 9 წელი უნდა შერჩეთ? ამ 9 წელზე ყველაზე ხშირად სწორედ „ოცნების“ ლიდერები აპელირებენ.

– არ უნდა შერჩეს. „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა. მესმის, რომ დასავლეთი ბევრ რამეს წყვეტს, მაგრამ საქართველოში ამომრჩევლის ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. დარწმუნებული ვარ, რომ „ოცნების“ დიდ ნაწილს ძალიან უნდა სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ დამნაშავე ნაცებს სერიოზული მფარველები ჰყავთ.

„მასწავლებლების უმრავლესობა ქრთამს იღებს ნიშნის დაწერის სანაცვლოდ“ — რა ხდება სკოლებში

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს სკოლებში არსებული მდგომარეობა. მონიტორინგის პროცესში, სკოლებში შერჩეული 83 ფოკუს ჯგუფიდან 78-ში ბავშვებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართ ძალადობდნენ როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

5 ფოკუს ჯგუფში ბავშვებმა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებლების მხრიდან ფიზიკური ან ვერბალური სახის ძალადობრივი რეაგირება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც წესებს ბიჭები არღვევენ. ბიჭები და გოგონები ადასტურებენ, რომ ბიჭები უფრო მკაცრად ისჯებიან.

მოსწავლეების მიერ უფროსების მხრიდან მათდამი დამამცირებელი მიმართვის დასახელებული ფორმებია: „დაუნო“! „ლაწირაკო“, „სახედრეო“, „თახსირშვილებო“, „ნუ წკავწკავებთ ძაღლებივით“, „დედა ნახე, მამა ნახე...“, „თქვენ“, „მათხოვრებო“, „დეგენერატებო“, „საღორეში იზრდებით“, „წადით და დებილ დედებს უთხარით ყველაფერი“.

ბავშვები ასევე საუბრობენ ფიზიკური ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ყურის აწევა, ბეჭდიანი ხელით დარტყმა, სახაზავის ან ჯოხის დარტყმა, წიგნის ჩარტყმა, პირადი ნივთის დაზიანება, გარდა ამისა, დასვენებაზე საკლასო ოთახში დატოვება. მათი თქმით, ასეთი რეაგირება შეიძლება მოჰყვეს გაკვეთილზე გადალაპარაკებას, ხმაურს, გაკვეთილზე დაგვიანებას, დავალების შეუსრულებლობას და სხვა დისციპლინურ დარღვევებს.

ბავშვებმა ორი ასეთი შემთხვევა გაიხსენეს: „მასწავლებელმა მოსწავლეს ყური ისე აუწია, რომ სისხლი წამოუვიდა. მერე ამავე მოსწავლეს ოთხი ფუნთუშა უყიდა, არავისთვის რომ არ მოეყოლა ეს ამბავი. მეორედ, მსგავსი შემთხვევის დროს, პედაგოგმა მოსწავლეს 10 ქულა დაუწერა“. „მოსწავლემ გაკვეთილის მსვლელობის დროს ქაღალდი ისროლა. ამის გამო კი მასწავლებელმა მას ის ქაღალდის ნაგლეჯი პირში ჩაადებინა“.

რაც შეეხება ინტერვიუებს დირექციის წარმომადგენლებსა და მანდატურებთან, რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა დისკრიმინაციული მიდგომები ზოგიერთი არასრულწლოვნის, მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარის ან სოციალურად დაუცველი ბავშვის მიმართ.

სკოლის დირექტორი დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვანზე: „ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა“.

განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ნანა დევდარიანი: „ნატოში შესვლა არაფერს მოგვცემს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დამცველი **ნანა დევდარიანი** პასუხობს.

– ქალბატონო ნანა, რუსულ-ქართული ურთიერთობების შეფასებით დავიწყოთ. უმრავლესობა ში აცხადებენ, რომ მათ სწორი პოზიცია აქვთ, რომ რუსეთი ძლიერი ოკუპანტია და ფრთხილი მოქმედებებია საჭირო. ოპოზიცია კი ყველაფერში ხელისუფლებას ადანაშაულებს. რას იტყვით თქვენ?

– ეს ხელისუფლება ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობა გამწვავდა და დაიძაბა წინა ხელისუფლების წყალობით და საკუთარი თავიდან ირიდებს პასუხისმგებლობას. უკვე დიდი ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ დიალოგის გარეშე ჩვენი პრობლემები არ მოგვარდება. თუმცა, ვინც კი ამაზე ვლაპარაკობთ, ცდილობენ, რომ ყველას მტრის იარლიყი მიაწებონ. არ გამოდის ასე. თავად დასავლეთი ხედავს, რომ ამ დაძაბული ვითარების ფონზე რუსეთმა ისე გაიძლიერა პოზიციები, რომ მასთან დიალოგის გარეშე საკითხების მოგვარება არ მოხერხდება.

– სულ ამ დიალოგზე მიდის საუბარი, თუმცა დიალოგის დაწყება ვერ ხერხდება.

– ჩვენს ხელისუფლებას გაბედულება აკლია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩასაფრებული მტერი ჰყავთ ყურის ძირში, რომელიც ყველაფრის უფლებას აძლევს თავის თავს და ესეც მათი დამსახურებით არის.

– რომელ დიალოგზეა საუბარი, როცა ჭირისუფალს ცხედარს არ უბრუნებენ? ტატუნაშვილის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს ვგულისხმობ. ამან კიდევ უფრო მეტი აგრესია გამოიწვია რუსეთის მიმართ ჩვენს საზოგადოებაში.

– ძალიან მძიმე და ტრაგიკული ფაქტია. როდესაც ეს ამბავი მოხდა, მეორე დღესვე აქციების ჩატარება და მაგისტრალის გადაკეტვა იყო პირდაპირ ინსპირირებული ამბავი. თავისთავად ცხადია, რომ ექსპერტიზის გარეშე ცხედარს არავინ გადმოასვენებდა.

– გამწარებულმა ოჯახმა რომ გზა გადაკეტა, აქ რაა გასაკვირი?

– ეს მესმის, ძალიან მძიმე სიტუაციაა, თუმცა აქ უკვე ჩანდა პოლიტიკური ოპონენტის როლი, რომელიც ყველაფერს ცდილობს, რომ ყველა სიტუაცია გამოიყენოს სათავისოდ.

– კეთდება შეფასებები, რომ რუსული პროპაგანდა აქტიურად ამუშავდა ჩვენს ქვეყანაში. მიდის ნატოს და ევროსტრუქტურების დისკრედიტაცია. ამაზე რას იტყვით?

– ნატოს დისკრედიტაცია რომ ხდება, ამის მიზეზები უნდა ეძებონ საკუთარ თავში ნატოს მესვეურებმა.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ეს უკვე ძალიან მოუქნელ, ბიუროკრატიულ სისტემად გარდაიქმნა, რომლის წარმატებები ძალიან საეჭვოა. სირიის მაგალითმა ეს ძალიან კარგად დაადასტურა, სადაც რუსული ოპერაციები იყო წარმატებული. ამ დროს ნატოსთან შედარებით რუსეთის პოტენციალი ძალიან დაბალია.

– ანუ არასწორია ჩვენი ხელისუფლების სწრაფვა ნატოსკენ?

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ნატოში შესვლა ჩვენ არაფერს არ გვაძლევს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის და ერთიანობის საკითხი გვაქვს.

– როდესაც ასეთი აგრესიული მეზობელი გვყავს რუსეთის სახით, ხელისუფლება ეძებს მოკავშირეს. მაშინ სად არის ბალანსი, ოქროს შუალედი, როგორ უნდა მოიქცეს ქართული მხარე?

– ოქროს შუალედი არის იმაში, როგორც არსებობდა ქართული სახელმწიფო, როცა გააჩნდა სახელმწიფოებრიობა. ის ყოველთვის ეძებდა ბალანსს, იმიტომ, რომ ყოველთვის გარშემორტყმული იყო აგრესიული იმპერიებით. ხან აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით, ხან ჩრდილოეთით და ხან სამხრეთით. ეს ინტერესები შენ თუ არ დააბალანსე და შენი ტერიტორია აქციე ვიღაცის დაპირისპირების პოლიგონად, ე.ი. აღარ ხარ პოლიტიკოსი.

რომელიმე ერთ მხარეს არჩევანის გაკეთება ჩვენ ყოველთვის წამგებიან მდგომარეობაში ჩაგვაყენებს. კარგი გაგებით პოლიტიკური ვაჭრობის საგანი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მთლიანობა და კეთილდღეობა მოსახლეობის, რაზეც დიალოგი ყველასთან უნდა გვქონდეს, ვინც ჩვენ გარშემოა.

– ანუ თუ დადგება საკითხი ნატოში მიღებაზე, ეს იქნება დაკარგული ტერიტორიების გარეშე?

– არ იქნება. ამასაც წლებია ვამბობ, რომ არ იქნება ნატოში მიღება! იქნება მუდმივად მაპი თუ მაპზე უკეთესი, ოქროს ბარათი თუ პლატინის ბარათი, მაგრამ ნატოს სრულუფლებიან წევრობაზე საკითხი არ დადგება. ამას თავად ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები აცხადებდნენ და ახლაც ამბობენ.

– ევროსტრუქტურებთანაც დაიძაბა სიტუაცია, ვიზალიბერალიზაციის ფორმატის გაუქმებას ყოველდღიურ რეჟიმში გვახსენებენ.

– ეგეც პოლიტიკური სპეკულაციებია. ჯერ ერთი, ევროპაში ძალიან მძიმე პროცესები მიდის და მთელი რიგი სახელმწიფოები უარს ამბობენ მიგრანტების მიღებაზე. ეს მარტო საქართველოს და ქართველების მიმართ კი არ არის ნეგატივი. სერიოზულად დაიწყეს ამ პოლიტიკის გადახედვა.

ამაზე ერთიანი პოზიცია არ არის ევროკავშირში. ყველა ქვეყანა გამოდის თავისი ეროვნული ინტერესებიდან. მე ვერ ვხედავ იმას, რომ ერთბაშად ქართველებს ვიზალიბერალიზაცია ჩამოართვან. როდესაც ადამიანი მიდის ამა თუ იმ ქვეყანაში, კარგად ინფორმირებული უნდა იყოს, იქ რა სიტუაციაა, სახელმწიფოს დამოკიდებულება როგორია მიგრანტების მიმართ და ამ ყველაფრის გარკვევაში ჩვენს მოქალაქეებს საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა ეხმარებოდეს, აბა მას სხვა რა ფუნქცია აქვს?!

– თუმცა ჩვენი ქვეყნიდან გადინება საკმაოდ დიდია.

– სანამ ხელი მოეწერებოდა ასოცირების ხელშეკრულებს, ჯერ კიდევ მანამდე ვამბობდი, რომ ეს ასე იქნებოდა.

– სოციალური ფონია ყველაზე მთავარი ფაქტორი?

– სოციალური ფონი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა ერთადერთი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მენტალური პრობლემა. როდესაც ადამიანი 500-ლარიან სამსახურში არ წავა და იტყვის, 150-ლარიან კომპენსაციას დავკარგავო, ეს უკვე მენტალური პრობლემაა! როდესაც ადამიანს ესირცხვება აქ დამლაგებლად მუშაობა, სხვა ქვეყანაში კი მაინც დამლაგებლად მუშაობს, ესეც მენტალური პრობლემაა.

– თუმცა იქ ანაზღაურება მეტია.

– ესეც მენტალური პრობლემაა! არ შეიძლება სახელისუფლო სტრუქტურების თანამშრომლები იღებდნენ პენსიონერზე 200-ჯერ და 300-ჯერ მეტ ანაზღაურებას! დიახ, დამლაგებელს ადეკვატური ხელფასი რომ ჰქონდეს, ალბათ არ მიატოვებს ოჯახს და არ წავა სხვა ქვეყანაში. ამიტომ აქ ვიზალიბერალიზაციის პრობლემა კი არ არის, პრობლემა ის არის, რომ სახელმწიფომ თავის მოსახლეობას უნდა შესთავაზოს ღირსეული პირობები!

ანზორ აბრალავა: „ვინმეს ანტირუსულობა საქმით უნდა გამოჩნდეს“

„როცა მუნიციპალიტეტში ბორჯომის მსგავსი მოვლენები ხდება, იქ ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი მმართველობა უნდა დამყარდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას**.

– არჩილ ტატუნაშვილის შემაძრწუნებელმა მკვლელობამ გამოიწვია საპროტესტო აქციები ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ პერიოდს დაემთხვა ინტელიგენციის ნაწილის პრორუსული მიმართვა. საზოგადოების პოლარიზაცია ხომ არ ხდება?

– პოლარიზაციას ვერ ვხედავ. საქართველოში გვაქვს იმის პრაქტიკა, რომ ის, ვინც რუსეთის მოწინააღმდეგედ ასაღებს თავს, ხშირად რუსეთს ემსახურება. ამის დამამტკიცებელი საბუთები არსებობს. ბევრი პოლიტიკოსი, რომელიც პროდასავლელად გვევლინება, რუსეთთან ბინძურ გარიგებებშია შემჩნეული.

– ბოლო აქციებზე საზოგადოება შეიკრიბა.

– ეს საზოგადოებაც არ არის შორს პოლიტიკისაგან. რაც უნდა იძახონ, პოლიტიკოსები არა ვართ და პოლიტიკურ აქციებს არ ვატარებთო, ეს ასე ვერ იქნება. 2007 წლის თბილისის მოვლენებმა დაგვაშორა ნატოს. მაშინდელმა რეჟიმმა საპროტესტო აქცია დაარბია. ეს მოხდა ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ. ამ სამიტზე მოსალოდნელი იყო საქართველოს ახალ საფეხურზე აყვანა ალიანსში ინტეგრაციის გზაზე. იმდენი ქნა მაშინ „პროდასავლურმა“ ჯგუფმა, რომ მაპიც სანატრელი გაგვიხადა. ან ეს მაპი რაღაა, საგამოცდო დაგვრჩა ჩასაბარებელი? საქართველო ნატოში აქამდე უნდა მიეღოთ.

– საზოგადოების ნაწილი ნატოში შესვლას ეწინააღმდეგება.

– ეს ხალხი რუსეთს ახსენებს და რუსეთის გაღიზიანებაზე ლაპარაკობს. უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ცარიზმის შემდეგ არ შეცვლილა. როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდა, მაგალითად, ყირიმის მიმართ ეკატერინე მეორეს, ისეთივე პოზიცია აქვს ახლანდელ კრემლს. მაწუხებს ის, რომ საქართველოში ვინც ევროპელობას იჩემებს, ის არ არის ევროპელი. ეს თვითმარქვია ევროპელები ახდენენ ევროპული იდეალების დისკრედიტაციას. მათ არაფერი აქვთ საერთო ევროპულ ფასეულობებთან და პოლიტიკურ კულტურასთან. მათი ანტირუსული ლოზუნგები ყალბია.

ვინმეს ანტირუსულობა საქმით უნდა გამოჩნდეს და არა – რიტორიკით. ზოგიერთი საქართველოს სახელმწიფოებრიობას „კალაშნიკოვით“ ებრძოდა, ახლა კი „ევროპული საქართველოდან“ გვმოძღვრავს და პროევროპელობას იბრალებს.

„უღირსი წვრილფეხობა შეესია პარტიებს“

– „ევროპული საქართველო“ დედაქალაქის მერმა კონსტრუქციულ ოპოზიციად მოიხსენია. საზოგადოებაში მათ მომავალ მმართველ პარტიად მიიჩნევენ.

– ბოკერია და გაბაშვილი, რომლებიც გარკვეული წლების წინ რუსული ავტომატებით დარბოდნენ, ვერ ეღირსებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას. არც სხვები ჰყავთ ბედაურები. ამ პარტიის ლიდერებს არც ალღო აქვთ, არც ცოდნა და გამოცდილება. ამასწინათ აფხაზეთის საკითხზე მათ მსჯელობას ვუსმინე და დავრწმუნდი, რომ მათ ბევრ საკითხზე ელემენტარული წარმოდგენა არ გააჩნიათ. არადა, ზოგს ჰქონია, რომ ინტელექტუალ პოლიტიკოსებთან აქვთ საქმე. გული იმაზე მეთანაღრება, ასეთ გადაცემებში სულ ეს ვაიპოლიტიკოსები სხედან, მათგან განსხვავებული შეხედულებების მქონეებს კი ეთერს არ აკარებენ.

– ბოლო დროს მმართველმა პარტიამ ისეთი რამ ჩაიდინა, ჯორჯ ორუელის რომანებშიც რომ არ ასახულა. გაუმაძღრობის გამო მმართველი პარტია აწყობს საბოტაჟს.

– ბორჯომში, მართლაც, აღმაშფოთებელი მოვლენები ხდება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უღირსი წვრილფეხობა შეესია პარტიებს. ამ უნამუსოებს თავიანთი ჯიბის და ოჯახების გარდა არაფერი ანაღვლებთ. ეგენი მიიღებენ სახელმწიფოებრივად სწორ გადაწყვეტილებებს? ეს ის ხალხია, რომელიც პრობლემებში ახსნა-განმარტების შემდეგაც ვერ გაერკვევა. ესაა უმეცარი და უზნეო ჯგუფი, რომელიც აზარალებს სახელმწიფოს.

– და „ქართულ ოცნებას“?

– არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ დღეს „ქართული ოცნების“ რეიტინგი ისევ ბიძინა ივანიშვილზეა დამყარებული. როგორც კი გაეცლება ის მმართველ პარტიას, მისი რეიტინგი განულდება.

– პრეზიდენტობის კანდიდატურას მნიშვნელობა არ ექნება?

– მმართველ პარტიაში ნურავინ დაიტრაბახებს, რომ არჩევნები თვითონ მოიგო. ყველა გავიდა ივანიშვილის ავტორიტეტით.

– „ქართული ოცნების“ წევრების უსაშველო გაუმაძღრობის, კორუფციისა და სხვა გადაცდომების გამო, არ მოსთხოვს პასუხს ხალხი ივანიშვილს?

– არა მგონია. როცა რომელიმე მუნიციპალიტეტში ბორჯომის მსგავსი მოვლენები ხდება, უნდა ამოქმედდეს კანონი. ვგულისხმობ ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირ მმართველობას. ასეთ დროს პარლამენტის წევრებმა არ უნდა გააღრმავონ კრიზისი. რა უნდოდა ნიკა მელიას ბორჯომში? ნაციონალებისთვის მთავარია, ისარგებლონ მომენტით და არიონ სიტუაცია. ბორჯომი იქნება ეს, თელავი თუ წალენჯიხა, სულ ერთია.

„ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში, უკვე მოკლული მიიყვანეს“

ზვიად გამსახურდიას პირადი მცველი 24 წლის შემდეგ, პირველად, პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებებზე ალაპარაკდა. ბადრი გოგელაშვილი ამტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში უკვე მოკლული მიიყვანეს და თვითმკვლელობის ინსცენირება მოახდინეს.

დაცვის წევრი ამბობს, რომ მკვლელობა მაშინ მოხდა, როდესაც ზვიად გამსახურდია ბესარიონ გუგუშვილთან და დაცვის ორ წევრთან ერთად სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში მიდიოდა.

პრეზიდენტის პირადი მცველი საბედისწერო დღეებში გროზნოში იყო. მან მკვლელობის დეტალები ბასილ მკალავიშვილისგან გაიგო. ბასილ მკალავიშვილი ადასტურებს, რომ ციხეში პატიმარი გიორგაძე მისი თანამოსაკნე იყო, რომელმაც უთხრა, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობას თავად ესწრებოდა.

კარლო ღურწკაია ბადრი გოგელაშვილის მიერ გავრცელებულ სკანდალურ ინფორმაციას, რომ ზვიად გამსახურდია ღურწკაიების სახლში უკვე გარდაცვლილი მიიყვანეს, კატეგორიულად უარყოფს. იხსენებს, რომ პირველი პრეზიდენტი მის სახლში გვიან ღამით მივიდა.

ქვეყნის პირველი პრეზიდენტის შვილი კონსტანტინე გამსახურდია კი აცხადებს, რომ საქმის გახსნის პოლიტიკური ნება არ არსებობს. ამბობს იმასაც, რომ საქმეში არსებული უზუსტობები პროკურატურის მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა.

საქმის ბოლომდე მიყვანის პოლიტიკურ ნებას ვერ ხედავს ვერც ცოტნე გამსახურდია. ის თვლის, რომ არიან პირები, რომელთა ინტერესშიც გამოძიების დასრულება არ შედის.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი წელია საქმეს მკვლელობის მუხლით იძიებენ, ოჯახს ამ დრომდე პროკურატურა არ აძლევს საქმის მასალებს.

რეზონანსული საქმე ახლა ევროსასამართლოში მიდის და სარჩელი სტრასბურგისთვის უკვე მზადდება.

თაიმერი

„ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი არ იქნებოდა“

ნათია ხურცილავა

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, გავრცელდა ხმები, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შესაძლებელია თეა წულუკიანი გახდეს. ასევე, გავრცელდა ხმები, რომ ამას გუნდში არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყოლია. წულუკიანი რეალურად რომ გახდეს კანდიდატი, ეს თქვენთვის მოულოდნელი იქნება თუ არა?

– არ ვიცი, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნება?! სიმართლე გითხრათ, პოპულარულ ფიგურას არც ველოდები.

– რატომ?

– არა, არ ველოდები. ეს მათი საქმეა, ვინ იქნება მათი კანდიდატი და ვინ არ იქნება. ეს საკითხი მთლიანად მათი გადასაწყვეტია. ისე, წულუკიანზე გავრცელებულ ხმებს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. ვინც არ უნდა იყოს ეს კანდიდატი, აბსოლუტურად არაფერი არ შეიცვლება, რადგან ჩვენ გვაქვს მყარად შექმნილი სისტემა. სისტემა არის ასეთი: ქვეყანას მართავს ადამიანი, რომელიც ოფიციალური პირი არ არის. მხოლოდ ის ღებულობს გადაწყვეტილებებს, ის ახორციელებს ოპერატიულ მართვას უშიშროებისა და ძალოვანი სტრუქტურების მეშვეობით. დანარჩენი ყველაფერი მანიპულაციის საგანია. ამიტომ, ასეთი მმართველობის სისტემა თუ არ შეიცვალა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება კანდიდატი და პრეზიდენტი, საერთოდ არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. თუ ეს სისტემა ფუნქციონირებას გააგრძელებს, მაშინ დაახლოებით იგივე გაგრძელდება. ამიტომ კულუარებში რა ხდება და როგორ, რა მნიშვნელობა აქვს. „ოცნების“ შიგნით ამ თამაშის წინააღმდეგ არავინ არ გამოდის.

– არ ფიქრობთ, ვინმე შეიძლება იყოს ამის წინააღმდეგი გუნდში?

– არ ვიცი, თუ ვინმე ოდესმე იქნება, მაშინ ვნახავთ, მაგრამ ჯერჯერობით არავინ არ ცდილობს, ამას შეეწინააღმდეგოს. პირიქით, ყველა ცდილობს, რომ ამას მოერგოს და თვითონ გახდეს ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი. რეალურად კანდიდატი ამ გაგებით ბიძინა ივანიშვილი იქნება, ვინც არ უნდა დააყენოს ფორმალურად. ბუნებრივია, ფორმალურად თვითონ არ იქნება, მაგრამ ვინც იქნება, ის ხალხისთვის მაინც ივანიშვილი იქნება. ხალხი კვლავ ხმას ბიძინა ივანიშვილს მისცემს და არა კონკრეტულ კანდიდატს.

– გამორიცხავთ, რომ რეალურად ბიძინა ივანიშვილი გახდეს კანდიდატი?

– მე აბსოლუტურად გამოვრიცხავ.

– რატომ?

– ის წავიდა ოფიციალური მმართველობიდან იმიტომ, რომ არ უნდოდა ოფიციალურად ყოფილიყო გამოსული.

– ამით თუნდაც იმ ტვირთს მოიხსნის, რაზეც თქვენ საუბრობთ ჩრდილოვან მმართველობაზე.

– ჩრდილოვანი მმართველობა შემთხვევით კი არ გამოუვიდა, ეს მიზანმიმართული გადაწყვეტილება იყო. ის ფიქრობს, რომ ეს არის კარგი სისტემა, ამით სულაც არ არის უკმაყოფილო. შეიძლება კმაყოფილი არ არის იმ შედეგებით, რა შედეგებიც არის, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მოქმედი სისტემის წინააღმდეგია. მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ სხვანაირად შეიძლება იმართებოდეს ქვეყანა. ის თვლის, რომ ეს არის ქვეყნის მართვის იდეალური მოდელი. ამიტომ მიჭირს იმის დაჯერება, რომ მას უნდა ოფიციალურ თანამდებობაზე დაბრუნება, დაბრუნება რომ ნდომოდა, აქამდე დაბრუნდებოდა ან იყო მოსული, პრემიერ-მინისტრი იყო და არ წავიდოდა, ეს რომ ნდომოდა.

– თუნდაც გარკვეული ზეწოლა ხომ არის?

– ვისი მხრიდან, მე ვერ ვხედავ მსგავს რამეს. საერთოდ ვის აწუხებს ეს საკითხი, შეიძლება პოლიტიკურ კლასს და არასამთავრობო სექტორს. ჯერ არ არის ისეთ სტადიაში, რომ ვინმე სერიოზულ პრობლემად თვლიდეს ამას.

– თუ ეს ასეთი პრობლემაა, მაშინ რატომ არ აპროტესტებს სათანადოდ ოპოზიცია? თუ ფიქრობთ, ვინაიდან ოპოზიცია სუსტია და ძალა არა აქვს, არანაირი უნარი შესწევს?

– ოპოზიცია, კონკრეტული პოლიტიკური პარტია ადამიანი ხომ არ არის, რომელსაც დაბადებით დაჰყვება კუნთებში გარკვეული ძალა, რომელსაც ფიზიკური ვარჯიშით აუმჯობესებს. ოპოზიციამ რომ იმოქმედო,ს ამისთვის მას შესაბამისი ბერკეტები სჭირდება. ამისთვის ქვეყანაში უნდა იყოს შესაბამისი კლიმატი. როდესაც ეს კლიმატი არ არსებობს, მაშინ ძალიან რთულია, თუნდაც ტალეირანები და ჩერჩილები გამოჩნდნენ, მაინც არაფერი გამოვა.

ამიტომ არის, რომ ასეთ დროს დგება ხოლმე მხსნელის, მესიის გამოჩენის მოლოდინი, რომელიც მოვა და ეს ლიდერი მოახდენს საზოგადოების კონსოლიდაციას ან ხდება დიდი გაერთიანება, მიუხედავად წარსულისა, მათი შეხედულებებისა თუ განსხვავებულობისა, ასეთი ერთობა დგება, სადაც ყველა ერთის წინააღმდეგია. ამ მეორე ვარიანტს მე გავიხსენებ საქართველოს უახლესი პოლიტიკური წარსულიდან, როდესაც 2007 წელს მოხდა ოპოზიციის სრული გაერთიანება და ჩვენ გამოვდიოდით სააკაშვილის და მაშინდელი მმართველობის წინააღმდეგ, მაშინ ამ ერთობას ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავდა.



– მაგრამ მაშინ ოპოზიციამ ვერაფერი შეძლო.

– იმაზე მეტი რა უნდა ექნა, ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. 100-ათასიანი მიტინგები იმართებოდა. სიმართლე გითხრათ, მე მსგავსი წარმატებული კამპანია საერთოდ არ ვიცი.

– კვლავ სააკაშვილი გახდა ახალი ვადით პრეზიდენტი.

– გახდა, მაგრამ რა ფასად გახდა?! მაშინ, სააკაშვილმა ის არჩევნები წააგო. ბევრი სხვა ფაქტორი იყო, რის გამოც ოპოზიციამ ვერ შეძლო, მაგრამ მაშინაც შეეძლო სერიოზული დივიდენდები მიეღო. ოპოზიციამ ბოლო მომენტში ვერ გამოაჩინა შესაბამისი პოლიტიკური სიმტკიცე, თორემ მაშინ ისეთი ვითარება იყო, რომ სააკაშვილიც მზად იყო, სერიოზულ დათმობებზე წამოსულიყო. მე ვფიქრობ, რომ მაშინ, უბრალოდ, ამისთვის ოპოზიციაც მზად არ იყო და არც საერთაშორისო თანამეგობრობა, სააკაშვილი ხომ არ იყო და არ იყო ამისთვის მზად. ისე, საბოლოო ჯამში, ნოემბრის აქციებმა შეარყია მაშინდელი ხელისუფლება და სააკაშვილს საბოლოოდ მაინც მოუწია წასვლა. ამდენად, კამპანია, მიუხედავად იმისა, გამოკვეთილი ლიდერი რომც არ იყოს, თუ ის საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს, მაშინ თავისუფლად შეიძლება ლიდერის გარეშეც წარმატებული იყოს.

– მაშ ახლა რა ხდება?

– ახლა ის პრობლემა გვაქვს, რომ ჯერ საზოგადოება ამისთვის მომწიფებული არ არის, რომ თქვას – სულ ერთია ვინ და როგორ, ოღონდ ეს კაცი მოგვაცილე, რაც რეალურად 2007 წელს იყო, დღეს ასეთი კონკურენტი ჯერ არ არის. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ფაქტორი ჯერ კიდევ მუშაობს, ვგულისხმობ: ვაი, თუ ისინი დაბრუნდნენ!

– საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციის გაერთიანება უფრო რეალურია თუ ახალი ლიდერის გამოჩენა?

– ვერ გეტყვით, სხვადასხვა პარტიების ლიდერები რა პოზიციას დაიკავებენ, მაგალითად, დიდ გაერთიანებასთან დაკავშირებით. ეს მათზეა დამოკიდებული. ასევე, ეს დამოკიდებულია იმაზე, თავად „ოცნება“ რას გააკეთებს. ისე, ამ შემთხვევაში „ოცნება“ ბევრად მარტივი პროგნოზირებადია თუ რას იზამს.

– არის პროგნოზირებადი?

– რა თქმა უნდა, თანაც ძალიან მარტივად გამოსაცნობია, რას გააკეთებს ყველა სიტუაციაში.

– მაშინ, როგორ კანდიდატს დააყენებს, ძლიერს?

– აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, როგორ კანდიდატს დააყენებს, სულ ერთია, ვინ იქნება.

– გაიმარჯვებს?

– ასე ვიტყვი: გამარჯვების შანსი სერიოზული აქვს თუ არ იქნა სერიოზული ალტერნატიული კანდიდატი. მეტიც, მე ვიტყოდი, პოლიტიკური ალტერნატივა თუ არ იქნა, ვინც უკმაყოფილების კონსოლიდირებას მოახდენს. წინააღმდეგ შემთხვევაში წულუკიანიც გაიმარჯვებს, პეტრიაშვილიც, პავლიაშვილიც და ყველა, ამიტომ ვამბობ, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თუ ოპოზიციის, კონსოლიდირებული ძალის კანდიდატი იქნება, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ფლანგზე არსებული ოპოზიციური განწყობების კონსოლიდირებას შეძლებს, მაშინ ბრძოლა იქნება და არჩევნებს აზრი ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში საპრეზიდენტო არჩევნები სოციოლოგიური გამოკითხვა იქნება.

„წლების წინ ავტობუსები გადაიქცნენ მიკროავტობუსებად, რაც ძალიან ცუდი ფაქტი იყო“

თბილისის ქუჩების საცობებისგან განტვირთვის მიზნით, მერიამ 1 მარტიდან ახალი რეგულაციეები აამოქმედა. სამარშრუტო ტაქსები 14 ქუჩაზე მხოლოდ მოსაცდელებზე გაჩერდებიან. ამ თემაზე რადიო „კომერსანტის“ ეთერში, გადაცემა „თბილისი ლიდერთა შორის“ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა, მამუკა მუმლაძემ ისაუბრა.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, რეგულაციების მიზანი, თანამოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქალაქის ხელოვნური საცობებისგან მაქსიმალურად განტვირთვაა. მამუკა მუმლაძე ამბობს, რომ ახალ სისტემაზე გადასვლას მძღოლები დადებითად შეხვდნენ.

– წლების წინ ავტობუსები გადაიქცნენ მიკროავტობუსებად, რაც ძალიან ცუდი ფაქტი იყო, რადგან მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. დღეს 1.800 მიკროავტობუსი მოძრაობს დედაქალაქში, ამას ემატება რაიონებიდან შემომავალი ტრანსპორტი. შესაბამისად შევარჩიეთ ის გაჩერებები, სადაც ნაკლები ინფრასტრუქტურული ჩარევები იქნებოდა საჭირო. რაც შეეხება მონიტორინგს, მონიტორინგს ახორციელებს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. პირველადი ჯარიმის ოდენობა შეადგენს 100 ლარს, გამეორების შემთხვევაში სანქცია 300 ლარი იქნება, მესამე შემთხვევაში კი ჯარიმის ოდენობა 900 ლარს შეადგენს“ – განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

საპილოტე პროექტი თავდაპირველად შემდეგ ქუჩებზე განხორციელდება:

1. მერაბ კოსტავას ქუჩა, 2. ვაჟა-ფშაველას გამზირი, 3. შოთა რუსთაველის გამზირი, 4. პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, 5. ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 6. ვახტანგ გორგასლის ქუჩა, 7. დავით აღმაშენებლის ხეივანი, 8. დავით აღმაშენებლის გამზირი, 9. ილია ჭავჭავაძის გამზირი, 10. ჟიული შარტავას ქუჩა, 11. პეკინის ქუჩა, 12. მარშალ გელოვანის გამზირი, 13. ჯორჯ ბუშის ქუჩა, 14. კახეთის გზატკეცილი.

კომერსანტი

ბიზნესომბუდსმენი „ბადაგონის“ საქმეზე განცხადებას ავრცელებს

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თბილისის სათავო ოფისი დროებით გადაინაცვლებს რეგიონში, სადაც კომპანიას გააჩნია ორი საწარმო, – ასე გამოეხმაურა ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე კომპანია „ბადაგონთან“ დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ საკითხზე კომუნიკაცია საწარმოს ამჟამინდელ მფლობელთან დღეს დილით ჰქონდა.

მისივე თქმით, კომპანიის პარტნიორების ქმედებები, ძირითადად, შექმნილმა აჟიოტაჟმა განაპირობა და საგამოძიებო პროცესი „ბადაგონის“ ფუნქციონირებას ხელს არ უშლის.

– მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებები არ იქნება ხელის შემშლელი ფაქტორი კომპანიის ფუნქციონირებისთვის. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს კომპანიასა და დისტრიბუტორებს შორის არსებული ურთიერთობები. ჩვენი მხრივ, მნიშვნელოვანია, მოხდეს დაკვირვება იმ პროცესზე, რომ სახელმწიფო უწყების მოქმედებამ ხელი არ შეუშალოს საწარმოს ჯანსაღ ფუნქციონირებას. ეს არის ჩვენი მონიტორინგის მთავარი საფუძველი. კომპანიის ირგვლივ განვითარებულმა გარკვეულმა აჟიოტაჟმა ხელი შეუშალა დისტრიბუტორთან ურთიერთობას, საგამოძიებო მოქმედებებს გავლენა ამ პროცესზე არ აქვს, – აღნიშნა ბიზნესომბუდსმენმა.

როგორც ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, პრემიერ-მინისტრის დავალებით ბიზნესომბუდსმენის აპარატი „ბადაგონის“ საკითხს აქტიურ მონიტორინგს უწევს.

„მასწავლებლების უმრავლესობა ქრთამს იღებს ნიშნის დაწერის სანაცვლოდ“ — რა ხდება სკოლებში

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარების მიმართ. ერთ-ერთი დირექტორის თქმით, ამ სახლის აღსაზრდელები მის სკოლაში არ ირიცხებიან და არც აქვს ამის სურვილი, რადგან ისინი უარყოფით ზეგავლენას მოახდენენ სხვა ბავშვებზე. სხვა დირექტორი ერთ-ერთ მოსწავლეზე, სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით: „მიეცით ამ გაჭირვებულს კალამი, მაინც სოციალურად დაუცველია“. „ერთხელ ბავშვი დედამისის ქუსლიანი ფეხსაცმელებით მივიდა სკოლაში, რადგან სხვა არ გააჩნდა, რის გამოც ყველამ დასცინა. ამის შემდეგ ბავშვს ერთი კვირა არ უვლია სკოლაში“.

გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შორის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ, არასათანადოა. მოსწავლეები იხსენებენ შემდეგ ფაქტებს:

– ჩვენთან ერთი ინვალიდი ბავშვია და ყველა თვლის, რომ ის არაფერს წარმოადგენს, დასცინიან და თან ყველაფერს მას ავალებენ – მიდი, მიდი ბურთი მომიტანე, ეს გააკეთე, ის გააკეთე. იმ ბავშვს უხარია, ყურადღებას რომ აქცევენ, მაგრამ ესენი მასხრად იგდებენ და იყენებენ“; „ერთ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვს კი ყველა „ტილიანს“ ეძახის“.

სკოლის თანამშრომლების პასუხები განსხვავდება მოსწავლეების პასუხებისგან. კერძოდ, ზოგიერთი თანამშრომლის თქმით, დირექტორი ზოგჯერ ბავშვებსაც კი მოუწოდებს, არ შეატყობინონ მანდატურებს მსგავსი ფაქტების შესახებ, ან თავად მანდატურებზე ცდილობს ზეგავლენის მოხდენას, ოქმი რომ არ შეადგინონ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების დროს, როგორც მანდატურები იხსენებენ, სკოლის დირექტორმა მათ უთხრა, რომ ისინი ვერაფერს დაამტკიცებდნენ, მტკიცებულების არარსებობის გამო.

„ვცემე და ყოველთვის ვცემთ“, „ვცემ და აბა მოვიდეს და გითხრას“, „ფაქტი არა გაქვთ და ვერაფერს მიზამთ“, – ამბობდა დირექტორი.

მე-9 კლასელი ბიჭი: „სამწუხაროდ, ჩვენს სკოლაში არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ამცირებს, ხშირია მოსწავლეების ერთმანეთისგან გამორჩევა და აჩემება“.

მე-9 კლასელი გოგონა: „მასწავლებლების უმრავლესობა ქრთამს იღებს ნიშნის დაწერის სანაცვლოდ“.

მე-10 კლასელი გოგონა:

– სკოლაში საკმაოდ ხშირად ხდება ქურდობა. ჩემთვისაც მოუპარავთ, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას, დამრიგებელს, მასწავლებლებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. ამბობენ, რომ კლასში ჩანთა თუ საფულე არ უნდა დავტოვოთ, რადგან მეტი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, თუმცა ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა. ხანდახან შევსწრებივარ, როდესაც მასწავლებელი დაბალკლასელ მოსწავლეზე ძალადობს, რის გამოც მოსწავლე ტირილამდე მისულა, რაც დამცირების და უფლების შელახვის სერიოზული მაგალითია.

იმედია, სახელმწიფო გაითვალისწინებს ამ ყველაფერს და მიიღებს ზომებს, რათა მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი განათლება და ბოლოს ჩამოყალიბდნენ ადამიანებად, რადგან, როგორც იცით, სკოლა, საზოგადოება და ოჯახი უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მედიასტი

არსებული დაბალი ხელფასები „ღირსეული პენსიის“ აღების საშუალებას არ იძლევა



სამოქალაქო სექტორის ნაწილი დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესახებ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს აქვეყნებს.

კერძოდ, განცხადებას ხელს აწერენ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „PMC კვლევითი ცენტრი“, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“, „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველო“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)“, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)“, „მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC)“, ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი გიორგი პაპავა, ეკონომისტი ირაკლი ყიფიანი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სრული პროფესორი არჩილ იაკობაშვილი.

განცხადებაში რეფორმასთან დაკავშირებით 10 შენიშვნა და რისკია გამოყოფილი, რომელთაც „ბიზნესპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– „ქართული ოცნების“ 2016 წლის საარჩევნო პროგრამაში (გვ. 16) და 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში (გვ. 19) წერია, რომ „ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ბიზნესზე წინასწარ გაანალიზებული“ იყოს. რეგულირების გავლენის შეფასების გამოყენებას ითხოვს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც (მუხლი 225). მიუხედავად ამისა, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტი ისე შევიდა პარლამენტში, რომ რეგულირების გავლენის შეფასება არ ჩატარებულა. ეს იმ ფონზე, როდესაც რეფორმა გარკვეული რისკების მატარებელია. შესაბამისად, არ არის ნათელი, თუ რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა და რატომ არის ის უალტერნატივო.

– ხელისუფლება ზოგადად ამბობს, რომ შემოთავაზებული საპენსიო სისტემა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება, თუმცა, მნიშვნელოვანია დაასახელოს ერთი კონკრეტული ქვეყანა მაინც, რომლის გამოცდილებასთანაც ყველაზე ახლოს იქნება საქართველოს საპენსიო მოდელი. ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც კი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა (მაგალითად, უნგრეთი, პოლონეთი).

– დამსაქმებელთა დავალდებულება, სავალდებულო წესით საპენსიო ფონდში მიმართოს 40-წლამდე დასაქმებულების შრომის ანაზღაურების 2%, ფაქტობრივად გადასახადის ხასიათს ატარებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც აქციზის გარდა ნებისმიერი ახალი გადასახადის შემოღება რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.

– შემოთავაზებული ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ე.წ. „ღირსეულ პენსიას“, რადგან სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 25% არის დაქირავებით დასაქმებული, 34% თვითდასაქმებულია, ხოლო 41% უმუშევარია ან სამუშაო ძალაში არ შედის. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ დასაქმებულთა 58.4% 40 და მეტი ასაკის ადამიანებია, რომლებზეც საპენსიო სქემაში ჩართვის ვალდებულება არ ვრცელდება. შედეგად, გამოდის, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 10.5%-ზე გავრცელდება.

– „ღირსეული პენსიის“ აღების საშუალებას არ იძლევა არსებული დაბალი ხელფასები. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი თვეში დაახლოებით 1000 ლარია. რაც ნიშნავს, რომ მომავალი 25 წლის განმავლობაში, თუ დავუშვებთ რეალური ხელფასის ყოველწლიურად 5%-ით ზრდას და რეალურ 5%-იან საინვესტიციო შემოსავალს, პენსიაზე გასვლის შემდეგ, დაგროვილი თანხიდან ყოველთვიური პენსია (15 წელზე) 210 ლარი იქნება. მთავრობის განცხადებით, დღევანდელი პენსია (180 ლარი) მინიმუმ დღევანდელი ღირებულებით შენარჩუნდება. გამოდის, რომ 25 წლის შემდეგ საშუალო პენსია იქნება 390 ლარი თვეში, რაც, საკმაოდ ოპტიმისტურ სცენარში, 25 წლის საშუალო ხელფასის 20%-იან, ხოლო ბოლო ხელფასის 12%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. დღეს ჩანაცვლების საშუალო კოეფიციენტი 18%-ია. ასევე, დღეს რეალობაა, რომ დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ხელფასი თვეში 500 ლარი და ნაკლები აქვს. მათ, ზემოთ მოცემული დაშვებებით, 25 წლის შემდეგ პენსია თვეში 306 ლარი ექნებათ, რაც საშუალო ხელფასის 25.5%-იან, ხოლო ბოლო ხელფასის 15%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. ამჟამად, ჩანაცვლების კოეფიციენტი არის 30%.

– შემოთავაზებული საპენსიო სისტემით, სახელმწიფო მოსახლეობაში სოციალურ უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. მომავალში სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს პენსიაში, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება.

– იზრდება საგადასახადო ტვირთი დასაქმებაზე (ფაქტობრივად, ხელფასიდან გადასახადი 20%-დან 23.2%-მდე იზრდება), რაც გააძვირებს სამუშაო ძალას და უარყოფითად იმოქმედებს დასაქმებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში, ბიზნეს გარემო გაუარესდება.

– შემოთავაზებულმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური შრომითი გარიგებების დადება და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისება.

– სახელმწიფო ბიუჯეტს ემატება მნიშვნელოვანი ტვირთი (1-2%-იანი კონტრიბუცია საპენსიო სქემაში). ეს იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტში ნარჩუნდება დღევანდელი საპენსიო ხარჯები და რომლის 20-30 წლის განმავლობაში მხოლოდ დაბალი ტემპით ზრდა (მსყიდველობითი უნარით თვიური პენსიის 180 ლარზე შენარჩუნება), დღევანდელი სოციალური ფონის და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რეალურად შეუძლებლად მიგვაჩნია. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაგროვებითი საპენსიო სისტემით ფისკალური რისკების შემცირება სოციალური პენსიის ზრდის შენელებით ხდებოდა, რისი მზადყოფნის დეკლარირებაც მთავრობის მხრიდან არ მომხდარა.

– სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე პოლიტიკურ ძალებს და საზოგადოებას შორის კონსენსუსი არ არის.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, სამოქალაქო სექტორის შეფასებით, პარლამენტმა დაგროვებითი პენსიის შესახებ, კანონი მანამ არ უნდა მიიღოს, სანამ რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) კვლევა არ ჩატარდება. მათივე თქმით, კვლევა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ალტერნატიულ სცენარებს, სადაც ნაჩვენები იქნება, რა ნაკლოვანებები და უპირატესობები აქვს დღეს არსებულ და შემოთავაზებულ მოდელებს. შესწავლილი უნდა იყოს დაგროვებითი პენსიის სავალდებულო და არასავალდებულო მოდელების სხვადასხვა ვარიანტებიც.

ამასთან, სამუშაო ძალის გაძვირება, უმუშევრობის წახალისება და დღეს არსებული განკარგვადი შემოსავლების შემცირება რომ არ მოხდეს, საპენსიო შენატანის განხორციელება უნდა დაკომპენსირდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირებით. ამ შემთხვევაში კონსტატუციის დარღვევის რისკიც მოიხსენება.

ასევე, როგორც სამოქალაქო სექტორის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და სქემაში ჩართვის წახალისებისთვის, სახელმწიფოს გარკვეული საგადასახადო შეღავათების შემუშავება (ეს შეღავათები უნდა გავრცელდეს კერძო საპენსიო სისტემაში ჩართვის შემთხვევებზეც) შეუძლია.

მათივე შეფასებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა და აუცილებელია, დაინტერესებულ პირებთან მეტი საჯარო დისკუსია, რათა რეფორმას ჰქონდეს ნდობა და იყოს მდგრადი გრძელვადიან პერიოდში.

გიორგი სალაყაია: იმპორტიორები „ბადაგონთან“ კონტრაქტებს წყვეტენ

კომპანია „ბადაგონის“ ხელმძღვანელობა ე.წ კრიზისული მენეჯმენტის პირობებში განაგრძობს მუშაობას და თბილისის ოფისიდან კახეთში გადადის, – ამის შესახებ დღეს კომპანიის დამფუძნებელმა გიორგი სალაყაიამ „საქმის კურსში“ ჩართვისას განაცხადა. მისივე განმარტებით, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ იმპორტიორი კომპანიები მსხვილი საექსპორტო ბაზრებიდან, კონტრაქტებს წყვეტენ „ბადაგონთან“.

– ჩვენი მთავარი კონტრაქტორი ჩინეთში უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე და მივიღეთ ინფორმაცია, რომ რუსეთშიც ჩვენი მთავარი დისტრიბუტორი წყვეტს ჩვენთან თანამშრომლობას.

ჩვენი საკონტრაქტო პირობები არის საკმაოდ მომგებიანი ჩვენთვის, რადგან ხდება გარკვეული თანხების აკუმლირება წინასწარ და შემდეგ ხდებოდა პროდუქციის მიწოდება. მათ დაინახეს კომერციული რისკები ჩვენთან თანამშრომლობის პირობებში და სწორედ აქედან გამომდინარე აღარ სურთ პარტნიორობა.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ არ შეფერხდეს საწარმოს მუშაობა. გადავდივართ ე.წ „კრიზისული მენეჯმენტის“ პირობებში და ადგილებიდან უფრო მეტი კომუნიკაციის პირობებში დავარწმუნებთ ჩვენს იმპორტიორებს, რომ პროცესი შეუფერხებლად მიდის და რეალურად ასეც არის, დღეისთვის ვმუშაობთ მთელი დატვირთვით.

ვფიქრობთ, რომ ეს იყო აუცილებელი გადაუდებელი ნაბიჯი იმ კუთხით, რომ ჩვენ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და გვერდით დავუდგეთ იმ 600 ადამიანს, რომელიც დღეს მუშაობს საწარმოში, – განაცხადა გიორგი სალაყაიამ.

მისივე განმარტებით, მთავრობისგან აქვთ პოზიტიური სიგნალები იმასთან დაკავშირებით, რომ „ბადაგონის“ ქარხანას არ უნდა შეექმნას პრობლემები მუშაობის პროცესში.

– მე, ჩემის მხრივ, ვაცხადებ მზაობას, რომ ორ სუბიექტს შორის დავამ გადაინაცვლოს საქალაქო სასამართლოში. მას შემდეგ რაც მოხდა ფინანსური პოლიციის შემოვარდნა ჩვენთან ოფისში, ითვლება ის ფინანსური ზარალი, – განაცხადა გიორგი სალაყაიამ.

ლიბერთი ბანკი მხარს უჭერს ქართველ პარაოლიმპიელებს

პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, ზამთრის პარაოლიმპიურ თამაშებზე ქართველი პარაოლიმპიელებიც იასპარეზებენ.

9-18 მარტს კორეაში, ქალაქ პიოჩანგში ტარდება ზამთრის პარაოლიმპიური თამაშები, სადაც 41 ქვეყნის 670 სპორტსმენი მონაწილეობს.

9 მარტს ზამთრის პარაოლიმპიური თამაშების ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე, საქართველოს დელეგაცია ოლიმპიურ სტადიონზე ქართულ ეროვნულ დროშას პირველად წარადგენს.

ორი ქართველი პარაოლიმპიელი თემურ დადიანი და ნინო საბაშვილი თხილამურებით კროსში მიიღებენ მონაწილეობას და მათ ეკიპირებას ლიბერთი ბანკი უზრუნველყოფს.

შეგიძლიათ თუ არა უცხო ქვეყანაში სესხის აღება?

საბანკო დაწესებულებებთან საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს ურთიერთობა, რაც ძირითადად, კრედიტის აღებასთან არის დაკავშირებული.

თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე საქართველოსა და ევროპაში განსხვავებულია და უცხოეთში ამ თვალსაზრისით, მომხმარებელს საფინანსო დაწესებულებები ბევრად უკეთეს პირობებს სთავაზობენ.

სწორედ აღნიშნულის გამო მოქალაქეები ხშირად მომართავენ „ბიზნესპრესნიუსს“ კითხვით – თუ რამდენად შეუძლიათ საზღვარგარეთ არსებულ ბანკებში სესხის აღება.

როგორც ჩვენთან საუბრისას ფინანსისტი, არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე აღნიშნავს, პირობების თვალსაზრისით უცხოეთის ბანკები ჩვენზე ბევრად წინ არიან. შესაბამისად, თუ საქართველოს მოქალაქე რომელიმე კონკრეტული უცხო ქვეყნის მოთხოვნას აკმაყოფილებს, კერძოდ – აქვს იმ ქვეყნის ბინადრობა, შემოსავალი და აქტივი იმ ქვეყანაში, სესხის მიღება საკმაოდ ხელსაყრელი პირობებით შეუძლია.

მისივე თქმით, სწორედ იმის გამო, რომ უცხოეთში ბანკებს მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთები აქვთ, უცხო ქვეყანაში ლეგალურად მყოფი საქართველოს ბევრი მოქალაქე იქ იღებს სესხს და შემდეგ საქართველოში აპროცენტებს და „მევახშეობს“.

რაც შეეხება, საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის ბანკში სესხის აღებას, ბერძენაძე აღნიშნავს, რომ ბანკების გარდა სხვა საფინანსო ინსტიტუტები უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სესხს თითქმის საერთოდ არ გასცემენ. მეტიც, მისი განცხადებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სესხის გაცემისგან სერიოზული გარანტიის გარეშე ბანკებიც კი ძალიან იკავებენ თავს და იმისათვის, რომ ჩვენმა მოქალაქემ რომელიმე ქვეყანაში სესხი მიიღოს ან იმ ქვეყნის რეზიდენტი უნდა იყოს, ან უნდა ფლობდეს რაიმე აქტივს იმ ქვეყანაში და შემოსავალიც უნდა ჰქონდეს.

– ბევრ ქვეყანაში ძირითად შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სესხი საერთოდ არ გაიცემა, რადგან ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები თავს იკავებენ და, როგორც წესი, გარკვეული უზრუნველყოფის გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეზე კრედიტს არ გასცემენ. ეს კი ნიშნავს, რომ თუ საქართველოს მოქალაქეს რომელიმე უცხო ქვეყანაში სურს სესხის მიღება ან უძრავ ქონებას უნდა ფლობდეს იმ ქვეყანაში, ან საკმაო მოცულობის დანაზოგი უნდა ჰქონდეს. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი მოთხოვნაა და სესხის მისაღებად აუცილებელია იმ კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტობა, იქ ბინადრობის ლეგალური ფლობა.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც საკმაოდ უკვირდებიან პირობებს და თუ მოკლევადიანი ბინადრობაა, მაშინ სესხის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაცემისგან ძირითადად თავს იკავებენ. ზოგან, მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში არამოქალაქეს, მართალია სესხის აღების უფლება აქვს, მაგრამ ამისთვის სამუშაო ადგილიდან გარანტია სჭირდება, რომ სესხის დაფარვამდე სამსახურიდან არ გაუშვებენ და ა.შ. – აღნიშნა ბერძენაძემ.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც შედარებით მარტივია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სესხის აღება, როგორც არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მათი რიცხვი არც ისე ბევრია.

– ძირითადად, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის რამდენიმე ქვეყანაა, რომლებიც სესხს ბინადრობის უფლების გარეშე გასცემენ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. კერძოდ, ამ ქვეყნებში სესხის მისაღებად საჭიროა იქ გარკვეული აქტივის ფლობა და შემოსავლის მიღება. სხვა შემთხვევაში სესხის გაცემისთვის ყველა ქვეყანა ადგილობრივ ბინადრობას ითხოვს. შესაბამისად, ვიზალიბერალიზაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქე რომ ჩავიდეს, თუნდაც ლეგალურად ცხოვრობდეს უცხო ქვეყანაში, ფაქტობრივად, ნულია იმის შანსი, რომ საფინანსო ინსტიტუტებმა სესხის მისცენ. მეტიც, ევროპის ბევრ ქვეყანაში ბინადრობის გარეშე საბანკო ანგარიშის გახსნაც კი, ფაქტობრივად, არ ხდება, – აცხადებს ირაკლი ბერძენაძე.

დიღმის მასივში არასრულწლოვანი მე-8 სართულიდან გადმოვარდა

დიღმის მასივში საცხოვრებელი კორპუსის მე-8 სართულიდან არასრულწლოვანი გადმოვარდა, რომელიც დაზიანებებით ღუდუშაურის კლინიკაშია მოთავსებული.

როგორ „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ტექნიკურ უნივერსიტეტთან თივის ზვინით დატვირთულ სატვირთო ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თივის ზვინით დატვირთულ სატვირთო ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე 2 სახანძრო მანქანა მუშაობდა.

რუსთავში მაღაზია დააყაჩაღეს — წაღებულია 500 ლარი

რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მაღაზია დააყაჩაღეს. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი მაღაზიაში შეიჭრა და იარაღის მუქარით 500 ლარი გაიტაცა.

ამოღებულია მაღაზიაში დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

მკვლელობა ხორავაზე — სასამართლომ 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე დაკითხა

მოზარდების მკვლელობა ხორავაზე – საქმის ფარგლებში დღეს ბრალდების მხარემ 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე მოწმედ წარადგინა. ბრალდების მხარის განცხადებით, მოსწავლის ჩვენება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის თვითმხილველი პირი.

– მოწმემ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოებები, რაც პროდუქტიული იყო მნიშვნელოვანწილად და რაც ხელს შეუწყობს ბრალდების მხარეს, რათა თავისი არგუმენტები დაამყაროს საქმეში არსებულ სხვადასხვა მტკიცებულებებზე, – ამბობს პროკურორი ზვიად ფხაკაძე.

სკოლის მოსწავლის ჩვენება მნიშვნელოვნად მიაჩნია დაცვის მხარესაც:

– ბრალდების მხარემ წარმოადგინა მოწმე, რომელიც იყო ჩხუბში მონაწილე ერთ-ერთი პირი. მან ისაუბრა, როგორ დაიწყო ჩხუბი და როგორ დასრულდა ჩხუბი, – ამბობს ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე.

ანა დოლიძემ საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეიტანა — „აცილების გადაწყვეტილებაუკანონო იყო“

იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე უვადო მოსამართლეობის მსურველთა იმ კანდიდატთა ქმედებას აპროტესტებს, რომლებმაც მისი აცილება საჯარო განცხადებების საფუძველზე მოითხოვეს. დოლიძემ საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეიტანა, მის უფლებებს „საია“ დაიცავს, იურისტი, მიხეილ ჯახუა აღნიშნავს, რომ ანა დოლიძის აცილების გადაწყვეტილება უკანონო იყო:

– ანა დოლიძის აცილება მოხდა კონკრეტული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პროცედურიდან და აცილების საფუძველი გახდა მის მიერ საჯაროდ გამოხატული პოზიცია სასამართლოს სისტემაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. ეს განცხადება არ იყო მიმართული იმ კონკრეტული მოსამართლეების მიმართ, რომელთა დაკავშირებითაც მოხდა ანა დოლიძის აცილება და აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აცილების გადაწყვეტილება იყო უკანონო, – განაცხადა მიხეილ ჯახუამ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოსაძიებელ საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას პროკურატურა განახორციელებს

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ჩადენილ შესაბამის დანაშაულებზე გავრცელდება.

ამას „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინა.

ამავე პროექტით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოსაძიებელ საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას პროკურატურა განახორციელებს – კერძოდ, ეს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული იქნება.

აღნიშნული ერთეული უზრუნველყოფს სისხლის სამართლებრივ დევნას და მხარს დაუჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ის უშუალოდ მთავარ პროკურორს დაექვემდებარება.

პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ახალი სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, უქმდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, რომლის უფლებამონაცვლე სახელმწიფო ინსპექტორი იქნება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებაში ამჟამად მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებები შევა – კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, აგრეთვე, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებაში ექცევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეობა გავრცელდება: – „საქართველოს სისხლის სამართლის“ კოდექსის 144/1 – 144/3 მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი მოპყრობა), 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 335-ე მუხლით (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის, ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით) გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

საკანონმდებლო პაკეტი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა უქმდება

კანონპროექტი, რომლითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა უქმდება, მისი უფლებამონაცვლე კი სახელმწიფო ინსპექტორი იქნება, პარლამენტში ინიცირებულია საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ახალი სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნას ითვალისწინებს. 30 კანონპროექტისგან შემდგარი პაკეტი პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე წარედგინა.

პროექტის მიხედვით, უქმდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, რომლის უფლებამონაცვლე სახელმწიფო ინსპექტორი იქნება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებაში ამჟამად მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებები შევა – კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, აგრეთვე, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებაში ექცევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეობა გავრცელდება: – „საქართველოს სისხლის სამართლის“ კოდექსის 144/1 – 144/3 მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი მოპყრობა), 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 335-ე მუხლით (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით) გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

გაქცეულმა ქურდებმა დამალვა პოლიციის განყოფილებაში სცადეს

ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ პეორიაში, ქურდები შეეცადნენ მდევრებს პოლიციის განყოფილების ეზოში დამალვოდნენ.

28 წლის მარვან ელ-იბადიმ და 29 წლის სელმა ჰურიემ სავაჭრო ცენტრში ქურდობა ჩაიდინეს. როგორც კი მათზე ადევნებული პოლიციის მანქანა შენიშნეს, გაიქცნენ. სირბილის დროს მათ ყურადღება არ მიუქცევიათ შენობაზე გაკეთებული წარწერისთვის „პეორიის პოლიცია“, ღობეზე გადაძვრნენ და ეზოში, რომელიც სათვალთვალო კამერებით იყო აღჭურვილნი, მიიმალნენ. სწორედ იქ დააპატიმრეს დამნაშავეები.

– მსგავსი არაფერი მინახავს, ეს ნამდვილად უიშვიათესი შემთხვევაა. ჯერ ერთი, პოლიციისგან გაქცევა არ შეიძლება და მეორეც, თუ მაინც ცდით, იმას მაინც მიაქციეთ ყურადღება, რომ საკუთარი ფეხით არ მიხვიდეთ პოლიციაში, – განაცხადა ქალაქის პოლიციის თანამშრომელმა ბრენდონ შეფერტმა.

მარვან ელ-იბადის და სელმა ჰურიეს მაღაზიის გაქურდვის, შენობაში არასანქცირებული შეღწევის და ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონდარღვევების ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იტალიის საპარლამენტო არჩევნებში ბერლუსკონის ბლოკი ლიდერობს

იტალიაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე ექსპრემიერის სილვიო ბერლუსკონის ბლოკი „ფორცა იტალია!“ ლიდერობს. მან ხმათა 35% დააგროვა.

მეორეზეა მემარცხენე „ხუთი ვარსკვლავი“ – 32%.

სოციალ-დემოკრატებმა 23% მიიღეს.

თანახმად იტალიური კანონმდებლობისა, მთავრობის ფორმირების უფლება იმ პარტიას ან კოალიციას ეძლევა, რომელიც მინიმუმ 40%-ს მიიღებს. ამდენ ხმას კი ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ მოიპოვებს. შესაბამისად ან ხელახალი არჩევნები ჩატარდება, ან ახალი კოალიციები თუ ბლოკები შეიქმნება.

სლოვაკეთის პრეზიდენტი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს

სლოვაკეთში გრძელდება ჟურნალისტ იან კუჩიაკის მკვლელობით გამოწვეული სკანდალი.

პრეზიდენტმა ანდრეი კისკამ განაცხადა, რომ ქვეყანას მასშტაბური ცვლილებები ესაჭიროება.

– მას შემდეგ, რაც მოხდა, ასეთ ცვლილებებს ელემენტარულად ვერ ავცდებით, – თქვა კისკამ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ცვლილებების განხორციელების საუკეთესო საშუალება ვადამდელი არჩევნებია.

– აუცილებელია არჩევნების რაც შეიძლება სწრაფად ჩატარება, – ამბობს კისკა.

არჩევნები სერბეთში

სერბეთში მუნიციპალური არჩევნები დასრულდა. ბელგრადში პრეზიდენტ ვუჩიჩის „სერბეთის პროგრესული პარტია“ ლიდერობს. მან ხმების 45% დააგროვა.

საბოლოო მონაცემები 2-3 დღის შემდეგ გახდება ცნობილი.

ქსენია სობჩაკს ალან ძუევი თავს დაესხა

მოსკოვში მიხეილ გორბაჩოვის 87 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. მას რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ქსენია სობჩაკიც დაესწრო. ღონისძიების დამთავრების შემდეგ სობჩაკს თავს დაესხა უცნობი მამაკაცი. მან ის წააქცია და სახეში წყალი შეასხა.

– ეს შენ ჟირინოვსკისათვის! – დაიყვირა მან.

პოლიციამ მამაკაცი დააკავა. ის მოსკოვის დუმის თავმჯდომარე ალექსეი შაპოშნიკოვის მრჩეველი ალან ძუევი აღმოჩნდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გერმანიაში ახალი კოალიცია შეიქმნა

გერმანიაში შეიქმნა კოალიცია, სადაც შევიდნენ ქრისტიან-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები. კოალიციის ხელმძღვანელი კანცლერი ანგელა მერკელი იქნება.

არჩევნებზე სოციალ-დემოკრატებმა ქრისტიან-დემოკრატებზე ბევრად ნაკლები ხმა მიიღეს. მიუხედავად ამისა, კოალიციაში მათ და ქრისტიან დემოკრატებს 6-6 სამინისტრო პორტფელი ექნებათ. სოციალ-დემოკრატები დაიკავებენ საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ჯანდაცვის, განათლების, თავდაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრების პოსტებს.

მინისტრების უმრავლესობის ვინაობა გარკვეულია. გრძელდება დისკუსია თავდაცვის მინისტრის პერსონის გარშემო. ამჟამინდელი მინისტრი ურსულა ფონ დერ ლიაინი, სავარაუდოდ, პოსტს შეინარჩუნებს, თუმცა გერმანულ საზოგადოებაში მისადმი არაერთგვაროვანი განწყობილებაა. გერმანელთა 70% მიიჩნევს, რომ ურსულამ საქმეს თავი ვერ გაართვა.

ასევე გაურკვეველია საგარეო საქმეთა მინისტრის ვინაობაც.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ამჟამინდელი მინისტრი ზიგმარ გაბრიელი პოსტზე დარჩება თუ არა.

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო გერმანიაში ახალი კოალიციის შექმნას მიესალმა.

– ჩვენს გერმანელ მეგობრებს გულწრფელად ვუღოცავ, – თქვა პოროშენკომ.

კოალიციის შექმნას საფრანგეთის ლიდერი ემანუელ მაკრონიც მიესალმა.

– ახალი კოალიციის შექმნა საერთო ევროპული მოვლენაა! ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა საერთაშორისო მდგომარეობა არნახულად დაიძაბა. რუსეთი აშკარა მუქარაზე გადავიდა, – განაცხადა მაკრონმა.

საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, გერმანია-საფრანგეთის ტანდემი გარანტია იმისა, რომ ევროპაში პოპულისტური ძალები ვერ აღზევდებიან და რუსული გავლენის ზრდაც არ მოხდება.

– კოალიციის შექმნის შემდეგ ჩვენი ტანდემი რეალური ძალა გახდება, – ამბობს მაკრონი.

თეთრმა სახლმა აღმოსავლეთ გუტაში რუსეთის და ასადის მოქმედება დაგმო

გაეროს რეზოლუციის მიუხედავად, აღმოსავლეთ გუტასთან ბრძოლები გრძელდება. ასადის მომხრეებმა და მათმა მოკავშირეებმა (რუსეთი, ირანი) ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს. შედეგად აღმოსავლეთ გუტას გარეუბანი და ქალაქის მახლობლად მდებარე რამდენიმე სოფელი ასადის არმიის კონტროლქვეშ მოექცა.

პარტიზანებმა კონტრდარტყმა განახორციელეს და რამდენიმე დაკარგულ პოზიციაზე კონტროლი აღადგინეს.

პასუხად რუსულმა ავიაციამ პარტიზანების პოზიციები დაბომბა. ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა, რასაც დემოკრატიული სამყაროს მწვავე რეაგირება მოჰყვა. თეთრმა სახლმა აღმოსავლეთ გუტაში ასადის, რუსეთისა და ირანის მოქმედება დაგმო.

– მოვუწოდებთ რუსეთს, ირანს და ასადის რეჟიმს, გაეროს რეზოლუცია შეასრულონ, – ნათქვამია დოკუმენტში.

უკრაინელებს პოლონელთა დიქტატი არ სურთ

პოლონეთში აზვირთებული ანტიბანდერული ისტერია უკრაინაში გაღიზიანებას იწვევს. ქვეყნის საგარეო მინისტრმა კლიმკინმა შენიშნა, რომ ზოგიერთი პოლონელი მოღვაწის გამონათქვამები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ძაბავს, რაც არასასურველია.

– ჩვენ საერთო მტერი და საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები გვაქვს. მოდით, აქცენტი ამაზე გავაკეთოთ, – თქვა კლიმკინმა.

გაცილებით მკვეთრი იყო უკრაინის პირველი პრეზიდენტის, ლეონიდ კრავჩუკის რეაქცია. კრავჩუკმა განაცხადა, რომ პოლონეთის ხელისუფლებაში არიან პოპულისტური ძალები, რომელთა გამონათქვამებიც ბრბოს ქვენა გრძნობებზეა გათვლილი. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ასეთი გამოხდომების შედეგად თავად პოლონეთიც ზარალდება.

– პოლონელებმა უნდა შეიგნონ, რომ უკრაინელი დიქტატს ვერ აიტანს! ჩვენ უკვე თავად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბანდერა ჩვენი გმირია, ასე რომ, საკითხი დამთავრებულია, – ამბობს კრავჩუკი.

უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა პოლონელებს წარსული შეახსენა და ხაზი გაუსვა, რომ ყველა დიდი პოლონელი მეფე უკრაინელ კაზაკებთან მეგობრობას ცდილობდა. როგორც კი პოლონეთი უკრაინას დიქტატის ენაზე დაუწყებდა ლაპარაკს, ეს პოლონეთისთვის კატასტროფით მთავრდებოდა.

– ჩვენთან დიქტატი რუსეთს არ გაუვიდა, პოლონეთს, მით უმეტეს, არ გაუვა! – განაცხადა კრავჩუკმა.

პუტინი ამერიკელებს თავის ჰაკერებს არ გადასცემს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ აშშ-ს არ გადასცემს რუსეთის მოქალაქეებს, რომელთაც ამერიკელები კიბერ-შეტევებში ადანაშაულებენ.

როგორც ცნობილია, სპეცპროკურორმა მიულერმა დაასახელა კონკრეტული კომპანიები და პირები, რომლებმაც აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დროს კიბერ-შეტევები განახორციელეს.

– ამერიკელებმა დამამტკიცებელი საბუთი ვერ წარმოგვიდგინეს. ხსენებული პირების გადაცემაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, – თქვა პუტინმა.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკური), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

იუპ ჰაინკესი: „ბუნდესლიგის გუნდებს ევროსარბიელზე წარმატება გაუჭირდებათ“



მუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა მწვრთნელების საქმიანობასა და თავის პირველ სამწვრთნელო გამოცდილებაზე ისაუბრა.

– დღეს ბევრს ლაპარაკობენ ახალგაზრდა მწვრთნელებზე. 1979 წელს თქვენ ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი იყავით, როდესაც 34 წლის ასაკში მიონხენგლადბახის ბორუსიაში დაიწყეთ მუშაობა.

– 1978 წლამდე მე ჯერ კიდევ ფეხბურთელი ვიყავი, შემდეგ 1 წელი უდო ლატეკთან ვმუშაობდი. ჩვენმა მენეჯერმა ჰელმუტ გრასჰორფმა მკითხა, მზად ვიყავი თუ არა ბორუსიაში მუშაობის დასაწყებად მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მე ყოველთვის უზრუნველი ცხოვრებით ვცხოვრობდი, ამიტომ ვუპასუხე – რა თქმა უნდა, მზად ვარ. უკვე შემდეგ გავიგე, თუ რამდენი რამის გაგება მომიწევდა.

– კონკრეტულად რა უნდა გესწავლათ?

– ჯერ კიდევ ფეხბურთელად ყოფნის დროს, მე უბრალოდ ამბიციური კი არა, არამედ გადამეტებულად ამბიციური ვიყავი. ჩემზე ძლიერად იმოქმედა ჩვენმა მწვრთნელმა ჰანს ვაისვაილერმა, რომელსაც წაგება სძულდა. ზუსტად ეს უნდა ისწავლო ფეხბურთში: პატივისცემით უნდა მოეკიდო წაგებებს, მაგრამ მათი მიღება არაფრით არ შეიძლება. ყოველთვის მზად უნდა იყო, მათგან დასკვნები გამოიტანო, ანალიზი გაუკეთო და უკეთესი გახდე. მაგრამ არის კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც უნდა თავიდან ისწავლო: როგორ გაუძღვე გუნდს და როგორ იურთიერთო ადამიანებთან. მე დამეხმარა ის, რომ უკვე მქონდა მაღალი სტატუსი გუნდში და წამყვანი ფეხბურთელი ვიყავი. აქ მე უბრალო მაგალითის მოყვანა შემიძლია...

– მოგვიყევით, თუ შეიძლება.

– როდესაც მთავარი მწვრთნელი გავხდი, გუნდში ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ფეხბურთელები, რომელთან ერთადაც ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, ისინი „შენობით“ მომმართავდნენ, მაგრამ მთავარი მწვრთნელი გავხდი და ამ ფეხბურთელებმა მოისურვეს „თქვენობით“ ფორმაზე გადმოსულიყვნენ. მაშინ მე ვუთხარი – თქვენ რა, გაგიჟდით? მომმართავთ „შენობით“ და მორჩა აქ ლაპარაკი. მაგრამ ამ სიტუაციაში ჩანს, თუ როგორი დიდი პატივისცემა იყო ჩემ მიმართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელისთვის. ერთი მხრივ, საჭიროა დისტანციის დაცვა, მეორე მხრივ, აუცილებელია ფეხბურთელებთან ახლოს იყო. ვფიქრობ, რომ მე ყოველთვის ვახერხებდი ამ ბალანსის შენარჩუნებას.

– როგორ ახერხებდით ამას?

– პირველ სეზონში ჩვენ მე-7 ადგილი დავიკავეთ და ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გავედით, ამიტომ ბევრი შექება დავიმსახურეთ, მაგრამ კრიტიკაც იყო. ერთია, ჩემს თავს არასდროს არ ვაძლევდი გზიდან გადახვევის უფლებას. ჩემი საფეხბურთო ნიჭის გარდა, ყოველთვის ძლიერი ფსიქიკით გამოვირჩეოდი. ეს ასევე ძლიერად მეხმარებოდა სამწვრთნელო კარიერაში. ყოველთვის მქონდა ზუსტი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ მსურდა ჩემი სამუშაოს შესრულება, მაგრამ მაინც ყოველთვის მზად ვიყავი, სხვებისგან რაღაც მესწავლა. ახლაც ასე ხდება – შენ ამჩნევ პატარა დეტალებს, რომლებიც მუშაობაში გეხმარება.

– ახალგაზრდა მწვრთნელებს დღევანდელობაში უჭირთ?

– დღეს ახალგაზრდა მწვრთნელები უკეთესად არიან მომზადებულნი. მაშინ მხოლოდ 1 წელი ვიმუშავე დიდებულ უდო ლატეკთან, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ახალგაზრდა მწვრთნელები თავიდან ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობენ და გამოცდილებას აგროვებენ. მათ უნდა ისწავლონ, თავი სწორად წარმოაჩინონ, გუნდთან იურთიერთონ და ვარჯიშებზე იმუშაონ.

– გეხმარებათ მუშაობაში ის, რომ თქვენ თავად იყავით პროფესიონალი ფეხბურთელი?

– ეჭვგარეშე ასეა. თუ შენ მაღალი კლასის პროფესიონალი იყავი, მაშინ კვლავ და კვლავ ის სიტუაციები წარმოიქმნება, რომლებიც ათასჯერ მაინც გაქვს განცდილი. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი უპირატესობაა, მაგრამ მაინც, ახალგაზრდა მწვრთნელებისათვის დღეს ადვილი არ არის და მე ამას გულწრფელად ვიძახი. თუნდაც ავიღოთ ჩვენი მასმედიის საშუალებები ან კლუბის მაღალი მოთხოვნები. ახალგაზრდა მწვრთნელებსაც უნდა ჰქონდეს შეცდომის დაშვების უფლება. ჩვენ ხომ ეს ყველაფერი უკვე გამოვლილი გვაქვს.

– ვინ იმოქმედა თქვენზე, ჰანს ვაისვაილერის გარდა?

– მაგალითად, ერნსტ ჰაპელმა. ის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი გახლდათ და უკვე მაშინ ჰამბურგში მეტად თანამედროვე ფეხბურთს აჩვენებდა, 4 მცველი ხაზზე, ოფსაიდები, პრესინგი, აწეული დაცვის ხაზი და თანამედროვე თავდასხმითი სქემები. მე თვალყურს ვადევნებდი მას, ვაანალიზებდი და ვსწავლობდი. შემდეგ იყო არიგო საკი და იოჰან კრუიფი. შენ ყოველთვის რაღაც ახალს სწავლობ, ახალ დეტალებს ეცნობი შენს მუშაობაში თუ სულელი არ ხარ.

– 2013 წლის შემდეგ როდესაც სამწვრთნელო კარიერა დაასრულეთ, თვალყურს ადევნებდით თქვენს კოლეგა-მწვრთნელებს?

– სიმართლე რომ გითხრათ, სამწვრთნელო კარიერა 2013 წელს დავასრულე. შემდეგ ფეხბურთს უკვე მხოლოდ როგორც გულშემტივარი ისე ვუყურებდი. რა თქმა უნდა, ზოგჯერ მეც ვფიქრობდი, რომ ეს გუნდი მშვენივრად თამაშობს, ან ასეთ ცვლილებას მე არ გავაკეთებდი. თუ შენ დიდი დროის განმავლობაში მწვრთნელად მუშაობდი, ასეთ რამეებს უკვე ადვილად ამჩნევ. შენ ხედავ, თუ როგორ მოძრაობენ ფეხბურთელები, ვინ დაიღალა და ვინ – არა. ზოგჯერ ფიქრობ, რომ მწვრთნელმა კაგი სამუშაო გასწია, კარგი შემადგენლობა დააყენა და ზუსტი გეგმა გააჩნია. განსაკუთრებით მწვრთნელის ხელი იმ გუნდებს ემჩნევა, რომლებიც მაღალი დონის ფეხბურთელებს არ ფლობენ. ასეთი ბევრჯერ მაქვს შემჩნეული. თუმცა, მე ვისწავლე, ფეხბურთით თავი არ გამენებივრებინა.

– ული ჰიონესმა ამას წინათ თქვა, რომ თქვენ თანამედროვე მწვრთნელიც ხართ და კარგი ადამიანიც. „გასახდელშიც“ ყველაფერი წესრიგში გაქვთ. როგორია წარმატების რეცეპტი?

– თუ ული ჰიონესს რამეს შეეკითხებით, ის ყოველთვის მოიგონებს სათქმელს. ხშირად ეს მეტად პოზიტიური და კარგი სიტყვებია. მან ის იგულისხმა, თუ როგორ ვხელმძღვანელობ გუნდს, როგორი გეგმა მაქვს, როგორ ვმუშაობ გუნდთან ვარჯიშებზე და ყველაფერ დანარჩენზე, რომლებიც საჭიროა ხარისხიანი ფეხბურთისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის პირველ რიგში გუნდის ხელმძღვანელობაზე საუბრობდა.

– როგორია თქვენი ძირითადი პრინციპები?

– სხვადასხვა ტიპის მწვრთნელები არსებობენ. ყველაფერი ხასიათზეა დამოკიდებული, თუ როგორ ურთიერთობს მწვრთნელი ადამიანებთან. მეტად მნიშვნელოვანია თითოეულ ფეხბურთელს პატივს სცემდე და მთლიანად პერსონალს. ჩემთვის ყველა თანაბარია კანის ფერის, რელიგიის და სტატუსის მიუხედავად. ამის გარდა, გახსნილი უნდა იყო და გულწრფელი ფეხბურთელებთან, რათა ერთმანეთში ნდობა დასადგურდეს. ვფიქრობ, რომ ჩემი ყველაზე ძლიერი მხარე იმაშია, რომ ფეხბურთელები მენდობიან, მე კი მათ ვენდობი. ამაშია ძირითადად წარმატება. და კიდევ, უნდა იყოს ნამდვილი ავტორიტეტი, რომელიც მხოლოდ დაკავებული თანამდებობით არ განისაზღვრება.

– ჩვენ უკვე ვისაუბრეთ თქვენი სამწვრთნელო კარიერის დასაწყისზე 1979 წელს. მომდევნო 39 წელი ფეხბურთი და მწვრთნელის მუშაობა მუდმივად ვითარდებოდა. დღეს, მაგალითად, დიდ როლს დეტალური სტატისტიკა თამაშობს. როგორ შეაფასებდით ასეთ პროგრესს?

– არ შეიძლება ფეხბურთელები მონაცემებით გადატვირთო, ოქროს შუალედი უნდა იპოვო. ვთვლი, რომ ასეთი დამხმარე საშუალებები კარგია და თანამედროვეა, რადგან ასე ვიღებთ ბევრ ინფორმაციას. უბრალოდ ეს ჩვენი მუშაობის ნაწილია, მე კი ამისათვის მეტად ხანდაზმულად არ ვგრძნობ თავს. მეორე მხრივ, მე ჩემი გამოცდილება მაქვს, რომელიც მაძლევს უფლებას შევაფასო, თუ ვინ როგორ მუშაობდა მოედანზე. ძირითადად ჩემი დაკვირვებები მიღებულ მონაცემებს ემთხვევა ხოლმე.

– როგორი დამოკიდებულება გაქვთ ვიდეო-ანალიტიკაზე?

– ვთვლი, რომ თამაშის ანალიზისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენს ანალიტიკოსებთან ერთად ვიდეოებს ვაგროვებთ, რომ განვსაზღვროთ მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები. ასევე მნიშვნელოვანია გასული თამაშების გარჩევა, ჩემი კრიტიკით ან დადებითი შეფასებით. ასეთი დამხმარე საშუალებები – განუყოფელი ნაწილია ჩვენი მუშაობის. ეს შესანიშნავია და სამუშაოს გვიმსუბუქებს. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ასეთი რამ აქტიურად გამოიყენება ვარჯიშებზე.

– ბავარიაში თქვენი დაბრუნება ბევრ ფეხბურთელს დაეხმარა უკეთესად გახდომაში. მაგალითად, კინგსლი კომანმა თქვა, რომ თქვენ ურჩიეთ საჯარიმოში ჩაწოდების დროს თავი მაღლა დაეჭირა.

– ყველაფერი ჩემს პირად გამოცდილებაზეა დაფუძნებული, იმაზე, თუ რა გადავიტანე ჩემს დამრიგებელთან ჰანს ვაისვაილერთან ერთად. ჰანსი შესანიშნავი მწვრთნელი გახლდათ, ის მეტად ყურადღებიანი იყო დეტალების მიმართ. ჩვენთან ერთად ის დარტყმებზე, თავით თამაშზე, გადაცემებზე და ბევრ სხვა რამეზე მუშაობდა. იგივეს ვაკეთებ ბაიერნის ძალიან კარგ ფეხბურთელებთან ერთად. უნდა შეგეძლოს ბურთის ფლობა. ამიტომ აუცილებელია მუდმივად გარკვეულ ილეთებზე მუშაობა. ზუსტად ამას აკეთებენ ჩოგბურთელები, რომლებიც დიდი ტურნირის წინ 1 კვირით ადრე 500 ჩაწოდებას და დარტყმას ახორციელებენ. ფეხბურთში ბევრი რამ უნდა ისწავლო: პოზიციური თამაში, გადაცემები, შეტევაში კომბინაცია, საჯარიმოში ჩაწოდებები, თუ როგორ აღმოჩნდე დროულად კართან. ამასთან დაკავშირებითაც შემიძლია მოგიყვეთ პატარა ისტორია.

– მოგვიყევით თუ შეიძლება.

– სიმონ როლფესმა ერთხელ მითხრა – თქვენ ჩემი საუკეთესო მწვრთნელი იყავით, რადგან გვისწორებდით, ზუსტად გვეუბნებოდით, სწორად ვიღებდი ბურთს თუ არა, საჭირო დროს ვაკეთებდი პასს თუ არა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ეს მწვრთნელის ნამდვილი ხელოვნებაა – ბევრის შემჩნევა და შეცდომების გამოსწორება.

– განსაკუთრებით ეს პასსა და პოზიციურ თამაშს ეხება. ჰეპ გვარდიოლა ამას დიდ ყურადღებას აქცევდა, ხოლო კარლო ანჩელოტი პირიქით – ფეხბურთელებს თავისუფლებას აძლევდა შეტევაში. თქვენი მეთოდი ეს რაღაც საშუალოა?

– ვთვლი, რომ პოზიციური თამაშის დროს თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, თუ რა უნდა გააკეთოს და რისი გაკეთება შეუძლია. დღეს მოედანზე გადაადგილებით შეგიძლიათ გაიგოთ, თქვენ წინაშე მაღალი კლასის ფეხბურთელი დგას თუ არა. საუბარი იმაზეა, მოძრაობს ის ისე, როგორც საჭიროა შეტევისათვის, სწორ პოზიციას იკავებს თუ კარგავს მას. პოზიციურ თამაშს თავისი შედეგები მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც შენ არა მარტო განივ პასებს აკეთებ, არამედ როდესაც ტემპსაც ცვლი ან ვერტიკალურ გადაცემებს აკეთებ სიღრმეში. რა თქმა უნდა, ამისათვის ისეთი ფეხბურთელებია საჭირო, რომლებსაც ასე თამაში შეუძლიათ და ეს გადაცემები გოლებად აქციონ. 2013 წელს ჩვენ ტრენერი მოვიგეთ, რადგან შევძელით სწორი კომბინაცია მოგვეძებნა პოზიციური თამაშის, შესაძლებლობით უსწრაფესი შეტევა განგვეხორციელებინა და ბურთი სიღრმეში გაგვეგზავნა. ზოგჯერ უბრალო რამ ყველაზე ეფექტურია.

– ამ სეზონში ბავარიასთან ერთად 22-დან 20 თამაში მოიგეთ და თქვენ სასწაული-მწვრთნელი შეგარქვეს. როგორ აღიქვამთ ამას?

– ჩვენს გამარჯვებებს უბრალო მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ჩვენ ერთ-ერთი უდიდესი კლუბი ვართ. მეორეც – ჩვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, სამწვრთნელო გუნდი უმაღლესი დონისაა, მთლიანად პერსონალი კი იდეალურად მუშაობს. ის რაც ახლა ხდება, ეს ყველას წარმატებაა, ვინც კი ამ საქმეშია ჩართული. მე ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს და ყოველთვის რეალურად ვუყურებ ყველაფერს. არის როგორც აღმასვლები, ასევე დაღმასვლები, გამარჯვებები და მარცხი. როდესაც ამ თანამდებობაზე ოქტომბერში დავინიშნე, დარწმუნებული ვიყავი, რომ წარმატებას მივაღწევდით, რადგან მე ვიცნობ ფეხბურთელებს, გუნდს, მწვრთნელებს, ისევე, როგორც ჩემი მუშაობის სტილს. მაგრამ ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია ჩვენი მიზნისთვის.

– როგორი მიზნები გაქვთ?

– ჩვენ გერმანიის ჩემპიონობა გვსურს, დიდი სხვაობით ვართ წინ და ხელს ვერაფერი შეგვიშლის, მაგრამ ეს ტიტული ჯერ არ მოგვიპოვებია. ასევე წარმატების მიღწევა გერმანიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაზეც გვსურს. ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან რთული იქნება, რადგან იქ ტოპ-დონის გუნდები თამაშობენ, რომლებმაც სატრანსფერო ბაზარზე ბევრი იმუშავეს. მათ შემადგენლობა გააძლიერეს ნაწილობრივ დიდი ფინანსური შესაძლებლობების გამო. ამიტომ ბუნდესლიგის გუნდებს უფრო და უფრო გაუჭირდება ევროთასებზე წარმატების მიღწევა – იმ წარმატების, რომელიც ადრე ჰქონდა ბაიერნს.

– თქვენმა ყოფილმა კლუბმა რეალმა ჩემპიონთა ლიგა 2-ჯერ ზედიზედ მოიგო, ახლა კი ის ვარდნას განიცდის. როგორ შეაფასებდით სიტუაციას?

– ფეხბურთს თავისი ციკლები გააჩნია. სულ ცოტა ხნის წინ წარმოუდგენლად წარმატებული იყო რეალი, მანამდე – ბარსელონა, ბავარია. დღეს იძახიან, რომ ინგლისური ლიგა მსოფლიოში საუკეთესოა და ამ მომენტისათვის, ალბათ ასეც არის. ახლა ინგლისურმა კლუბებმა ეს ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფებში უნდა დაამტკიცონ.

– მოდით, რეალის ვარდნას დავუბრუნდეთ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

4 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრაიტონი-არსენალი 2:1
სიტი-ჩელსი 1:0

სატუნინოო ცხრილი:

1.სიტი	29	25	3	1	83-20	78
2.ლივერპული	29	17	9	3	67-32	60
3.მანჩესტერი	28	18	5	5	53-20	59
4.ტოტენჰემი	29	17	7	5	55-24	58
5.ჩელსი	29	16	5	8	50-26	53
6.არსენალი	29	13	6	10	52-41	45
7.ბარნლი	29	10	10	9	24-26	40
8.ლესტერი	29	9	10	10	41-42	37
9.უოტფორდი	29	10	6	13	39-47	36
10.ბრაიტონი	29	8	10	11	28-38	34
11.ევერტონი	29	9	7	13	33-49	34
12.ბორნმუთი	29	8	9	12	34-44	33
13.სუონსი	29	8	6	15	25-42	30
14.ვესტ ჰემი	29	7	9	13	36-54	30
15.ჰადერსფილდი	29	8	6	15	25-50	30
16.ნიუკასლი	29	7	8	14	27-40	29
17.საუთჰემპტონი	29	5	13	11	29-41	28
18.კრ.პალასი	28	6	9	13	25-43	27
19.სტოკი	29	6	9	14	28-54	27
20.ვესტ ბრომვიჩი	29	3	11	15	22-43	20

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ესპანიოლი 1:1
ბარსელონა-ატლეტიკო 1:0
სოსიედადი-ალავესი 2:1
ვალენსია-ბეტისი 2:0

სატუნინოო ცხრილი:

1.ბარსელონა	27	21	6	0	70-13	69
2.ატლეტიკო	27	18	7	2	45-12	61
3.რეალი	27	16	6	5	65-29	54
4.ვალენსია	27	16	5	6	52-30	53
5.სევილია	27	14	3	10	36-40	45
6.ვილიარეალი	27	12	5	10	36-32	41
7.ხირონა	27	11	7	9	38-36	40
8.ეიბარი	27	11	6	10	34-39	39
9.ბეტისი	27	11	4	12	43-52	37
10.ხეტაფე	27	9	9	9	33-25	36
11.სელტა	26	10	5	11	43-38	35
12.სოსიედადი	27	9	6	12	49-48	33
13.ლეგანესი	27	9	6	12	23-32	33
14.ბილბაო	27	7	11	9	27-31	32
15.ესპანიოლი	27	7	11	9	24-33	32
16.ალავესი	27	10	1	16	24-39	31
17.ლევანტე	27	3	12	12	22-42	21
18.ლას პალმასი	26	5	5	16	19-53	20
19.დეპორტივო	27	4	7	16	25-57	19
20.მალაგა	27	3	4	20	16-43	13

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლორკა-ალბასეტე 1:2
ხიმნასტიკი-ტენერიფე 1:2
ალკორკონი-კორდობა 1:2
ვალიდოლიდი-რაიო 1:1
სევილია ბ-ხიხონი 0:1
უესკა-ალმერია 2:2

გერმანია. ბუნდესლიგა

კიოლნი-შტუტგარტი 2:3
ფრაიბურგი-ბაიერნი 0:4

სატუნინოო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	20	3	2	59-18	63
2.შალკე	25	12	7	6	39-30	43
3.დორტმუნდი	25	11	9	5	50-31	42
4.აინტრახტი	25	12	6	7	33-27	42
5.ლევერკუზენი	25	11	8	6	45-33	41
6.ლაიპციგი	25	11	6	8	38-34	39
7.ჰოფენჰაიმი	25	9	8	8	40-38	35
8.გლადბახი	25	10	5	10	33-37	35
9.შტუტგარტი	25	10	3	12	23-29	33
10.აუგსბურგი	25	8	8	9	33-32	32
11.ჰანოვერი	25	8	8	9	32-35	32
12.ჰერტა	25	7	10	8	30-31	31
13.ფრაიბურგი	25	6	11	8	25-42	29
14.ვერდერი	25	6	9	10	24-30	27
15.ვოლფსბურგი	25	4	13	8	28-33	25
16.მაინცი	25	6	7	12	29-42	25
17.ჰამბურგი	25	4	6	15	18-35	18
18.კიოლნი	25	4	5	16	24-46	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-რეგენსბურგი 2:1
ჰაიდენჰაიმი-არმინია 2:2
დიუსელდორფი-ზ.პაული 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

კაენი-სტრასბური 2:0
მონპელიე-ლიონი 1:1
მარსელი-ნანტი 1:1

სატუნინოო ცხრილი:

1.პსჟ	28	24	2	2	86-19	74
2.მონაკო	28	18	6	4	69-30	60
3.მარსელი	28	16	8	4	57-33	56
4.ლიონი	28	14	9	5	58-34	51
5.რენი	28	12	5	11	36-35	41
6.მონპელიე	28	9	13	6	25-22	40
7.ნანტი	28	11	7	10	28-29	40
8.ნიცა	28	11	6	11	34-39	39
9.ბორდო	28	10	6	12	33-37	36
10.დიჟონი	28	10	6	12	40-54	36
11.გენგამი	28	9	8	11	28-38	35
12.კაენი	28	10	5	13	22-32	35
13.სტ.ეტიენი	28	9	8	11	30-43	35
14.ანჟე	28	7	10	11	32-40	31
15.სტრასბური	28	8	7	13	32-49	31
16.ამიენი	28	8	5	15	23-32	29
17.ტულუზა	28	7	8	13	26-37	29
18.ტრუა	28	8	4	16	24-38	28
19.ლილი	28	7	6	15	27-45	27
20.მეცი	28	5	5	18	26-50	20

ჰოლანდია. ეროდივიზიონი

ზვოლე-ვენლო 1:1
ვიტესი-აიაქსი 3:2
სპარტა-დენ ჰააგი 2:1
ტვენტე-გრონინგენი 1:1

ჰოხტუგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-შავიში 2:0
მორეირენშე-ფერეირა 2:0
სეტუბალი-რიუ ავე 1:0
გიმარაეში-ბელენენსეში 0:0

ხუთეული. პრემიერლიგა

ხაბაროვსკი-ტოსნო 0:1
უფა-დინამო 1:1
ლოკომოტივი-სპარტაკი 0:0
არსენალი-ახმატი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-იანგ ბოიზი 2:4
სიონი-ლუცერნი 1:1
თუნი-სტ.გალენი 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-რაპიდი 1:0

საბეჭდნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-პაოკი 3:2
აეკი-პანიონიოსი 1:0
ლევადიაკოსი-ლარისა 2:1
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-ალანია 0:1
ქონია-მალათია 0:1
ანთალია-სივასი 1:4
ფენერბახჩე-აკჰისარი 2:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ბრნო 1:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასი

კრაკოვია-არკა 2:1
ლეგია-ლეხი 2:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ოლიმპიკი 1:0
სტალი-ვერესი 0:1
დინამო-ზორია 3:2
კარპატი-შახტარი 0:3

დანია. სუპერლიგა

ჰელსინგერი-სონდერიისკე 1:2
რანდერსი-ნორფდსიელანდი 0:3
ორხუსი-კოპენჰაგენი 0:1
ბრონდბიუ-ოდენსე 2:1

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

ჩინელს უკანალიდან მინის ბურთულა გამოუღეს



ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ დუნგუანში ექიმებმა პაციენტს უკანალიდან რვა სანტიმეტრის დიამეტრის მინის ბურთულა გამოუღეს.

მამაკაცმა საავადმყოფოს მუცლის არეში ტკივილების გამო მიმართა. მან ექიმებს განუმარტა, რომ საკუთარ უკანა გასასვლელში მინის ბურთულა ჩაიდგა, შემდეგ კი შვიდი საათის განმავლობაში ცდილობდა მის გამოღებას, მაგრამ უშედეგოდ.

მამაკაცის უკანალიდან სათამაშოს გამოსაღებად ქირურგიული ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო. პაციენტს ლაპაროტომია გაუკეთდა, რამაც ექიმებს მუცლის ღრუდან ბურთულამდე მიწვდომის საშუალება მისცა. ქირურგი ხელით მიაწვა სქელ ნაწლავში გაჭედილ ბურთულას უკანა გასასვლელის მიმართულებით, რის შემდეგაც ის მაშების დახმარებით გამოიღეს.

მამაკაცის თქმით, მას ადრეც არაერთხელ ჩაუდგამს საკუთარ უკანალში დიდი საგნები და ამას ის თავის ნეგატიურ ჩვევად მიიჩნევს. აქამდე მათ გამოღებას ექიმების ჩარევის გარეშე ახერხებდა.

აღშფოთებულმა ნუდისტებმა მორცხვ ფოსტალიონს უჩივლეს

ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარე ნუდისტური კურორტის მობინადრეებმა განაცხადეს, რომ ფოსტის თანამშრომელი მათთვის წერილების მიტანაზე უარს აცხადებს.

მისი უარის გამო ნუდისტები წერილებს უკვე რამდენიმე თვეა აღარ იღებენ და შიშობენ, რომ შესაძლოა მნიშვნელოვანი კორესპონდენცია გამოტოვონ.

– არსებობს ფოსტალიონის დევიზი და მასში ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები, რომ ნუდისტურ კურორტებზე მისვლა არ შეიძლება, – განაცხადა კურორტის ერთ-ერთმა ბინადარმა, – მე მომსახურებაში ფულს ვიხდი და ამიტომ ის უნდა მივიღო.

ნუდისტებმა საჩივრით ფოსტის განყოფილებას მიმართეს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. მათ უპასუხეს, რომ ფოსტალიონს უფლება აქვს, წერილები არ მიიტანოს ისეთ ადგილებში, რომლებიც მას დისკომფორტს უქმნის.

ამერიკელმა პოლიციას დემენტორის თაობაზე მიმართა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ესეკსვილის მცხოვრებმა პოლიციაში დარეკა და აცნობა, რომ პარკში დემენტორი შენიშნა – ჯადოსნური არსება ჰარი პოტერზე წიგნიდან.

– განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ მაგლები, როგორც ცნობილია, დემენტორებს ვერ ხედავენ, – ნათქვამია ესეკსვილის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დეპარტამენტის განცხადებაში, – გარდა ამისა, ჩვენ მხოლოდ ერთი თანამშრომელი გვყავს, რომელსაც პატრონუსის გამოძახება ეხერხება, ის კი იმ დროს სამსახურში არ იმყოფებოდა.

პოლიციის თანამშრომლებმა პარკი დაათვალიერეს და გაარკვიეს, რომ, როგორც ჩანს, გამოძახების მიზეზი გახდა შავი ფერის პლასტიკატის ტომარა, რომელიც ხეზე იყო ჩამოკონწიალებული. მათ მიერ გადაღებულმა და ფეისბუქში დეპარტამენტის გვერდზე გამოქვეყნებულმა „დემენტორის“ ფოტოსურათმა 32 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

თოვლის გამო მატარებელში ჩარჩენილმა ბრიტანელებმა წვეულება გამართეს

თოვლის გამო მატარებელში გამომწყვდეულმა ბრიტანელებმა გადაწყვიტეს, წვეულება გაემართათ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ მატარებელში ათი საათი გაატარეს.

ნიკი მარსელინ-ჰორნი თავის ორ კოლეგასთან ერთად ლონდონიდან პუღში მიემგზავრებოდა, როდესაც თოვლის ნამქერის გამო მათი მატარებელი გაჩერდა. მოლოდინში მყოფმა მგზავრებმა დროის გატარების მიზნით გადაწყვიტეს, სხვა მგზავრებსაც დამეგობრებოდნენ და იმპროვიზებული წვეულება მოაწყვეს.

– დაახლოებით 20 ადამიანი ვიყავით ვაგონის ჩვენს ნაწილში და დაახლოებით კიდევ ამდენივე – მეორე ნაწილში. ჩვენ ბედნიერი მხარე ვიყავით: ვმღეროდით და ვცდილობდით, სიცოცხლით სავსენი ვყოფილიყავით, – განაცხადა მარსელინ-ჰორნმა.

მისი თქმით, რაღაც მომენტში მათ მხიარულებას მემანქანეც შეუერთდა. როდესაც ვაგონში მოულოდნელად შუქი ჩაქრა, მისმა ერთმა კოლეგამ წამოიწყო სიმღერა „Happy Birthday“ და ყველამ სიცილი დაიწყო.

ნიკი ყველაზე საშინელს უწოდებს იმ მომენტს, როდესაც მატარებელში გათბობა გამოირთო. ერთ-ერთ მგზავრ ქალბატონს ძალიან შესცივდა და სხვა მგზავრებმა მას თბილი ტანსაცმელი უწილადეს. საბოლოოდ გზის გაწმენდის შემდეგ მატარებელი დანიშნულების ადგილზე მნიშვნელოვანი დაგვიანებით ჩავიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 მარტისთვის

ვერძი – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კურო** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **კირჩხიბი** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **ქალწული** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **სასწორი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ღრიანკალი** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ძიუდოისტთა მოკრძალებული უქმეები



გასულ შაბათ-კვირას ძიუდოში საერთაშორისო არენაზე 3 საინტერესო ტურნირი გაიმართა. ქართველი ძიუდოისტები სამივეში ჩაებნენ, ამასთან, საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემადგენლობებით, მაგრამ პოდიუმის უმაღლეს საფეხურს ვერაფრით შეწვდნენ. ჯამში, საქართველოს სახელით მოჭიდავე 46 ძიუდოისტის ანგარიშზე 5 მედალია – 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

მიზანთან ყველაზე ახლოს თორნიკე ნაგლიაშვილი (66 კგ) იყო. ახალგაზრდებს შორის ევროპის სამგზის პრიზიორმა 21 წლის ძიუდოისტმა პრაღაში გამართულ ევროპის ღია ტურნირზე, ფინალის გზაზე ფრანგი ფრანკ ვერნე, ჰოლანდიელი მეტის ვან ჰარტენი, უნგრელი ბენს ბოროში, ბელარუსი დმიტრი მინკოუ და ყაზახი კაირატ აგირბაევი ჩამოიშორა. ოქროს მედლისთვის ბრძოლაში კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან (2013 და 2017), იაპონელ ნაოჰისა ტაკატოსთან დამარცხდა, მესამე დამატებულ წუთზე.

ჩეხურ ტატამზე ნაგლიაშვილის გარდა გავიდნენ: ჯაბა პაპინაშვილი, ზურაბ კახნიაშვილი (ორივე 60 კგ), ბაგრატ ნინიაშვილი (66), ალეკო მამიაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი, ტრისტან მოსახლიშვილი (ორივე 81), ლუკა მაისურაძე, იმედა გოგოლაძე (ორივე 90) და ზაურ კენჭაძე (100). მედლისთვის ბრძოლას ყველა ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა. ევროპის ღია ტურნირზე სულ 41 ქვეყნის ნაკრები გამოვიდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მე-11 ადგილს დასჯერდა.

ანალოგიური რანგის შეჯიბრებას – ევროპის ღია ტურნირს ვარშავამაც უმასპინძლა, ოღონდ თუ პრაღაში ტატამი მხოლოდ ვაჟებს დაეთმოთ, ვარშავაში საპრიზო სამეულები მარტო ქალებმა შეავსეს. საქართველოს ნაკრების სახელით კონკურენციაში ნატალია ყიფშიძე (48), მარიამ ჯანაშვილი (57), მარიამ ჭანტურია (70) და სოფიო სომხიშვილი (+78) ჩაებნენ, მაგრამ ოთხივე მედლის გარეშე დარჩა. საუკეთესო შედეგი სომხიშვილმა აჩვენა, რომელიც რეპეშაჟის ფინალში დამარცხდა და მე-5 ადგილი დაიკავა. ჭანტურიამ კი შეჯიბრება მე-7 ადგილით დაასრულა.

ყველაზე დიდი დელეგაციით ქართული გუნდი ანთალიაში ჩავიდა, ჭაბუკთა შორის მსოფლიოს თასზე საჭიდაოდ. კიმონო სულ 32-მა ქართველმა ძიუდოისტმა მოირგო (18 ვაჟი და 14 გოგონა) და მხოლოდ 4 ბრინჯაოს მედალს გამოვრჩით: ლუკა კაპანაძე (66), ნიკა ზოიძე (73), გიორგი შერაზადიშვილი (81) და გიგა ტატიაშვილი (+90).

წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მესამედ იასპარეზებს

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

ეს არ იყო გასაკვირი ფაქტი იქიდან გამომდინარე, რომ რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილმა გუნდმა შინ 12:1 მოუგო ისრაელს და ალბათობა იმისა, რომ სტუმრად ამაზე დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა, პრაქტიკულად, ნულის ტოლი იყო.

დამარცხება კი არადა, ნეთანიაში გამართულ საპასუხო შეხვედრას ფორმალური სახე ჰქონდა, თუმცა, საქართველოს ნაკრებმა ამჯერადაც მოიგო – 11:10 (5:4, 4:2, 2:3, 0:1) მოიგო.

ქართველთაგან ყველაზე მეტი – 3 გოლი მიხეილ ბაღათურიას ანგარიშზე იყო, რევაზ იმნაიშვილმა, ანდრია ბითაძემ და გიორგი მაგრაქველიძემ 2-2 ბურთი მიითვალეს, ალექსანდრე რუსიშვილმა და ნაკრების კაპიტანმა ზურაბ რურუამ კი თავი თითოჯერ გამოიჩინეს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2018 წლის ჩემპიონატი 14-28 ივლისს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში შედგება და უკვე ცნობილია ყველა ის ნაკრები, რომელთაც იქ თამაში განაღდებული აქვთ: სერბეთი, მონტენეგრო, უნგრეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, ხორვატია, რუსეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, გერმანია, ჰოლანდია, სლოვაკეთი, მალტა, თურქეთი და საქართველო.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა წყალბურთელებმა ევროფორუმზე პირველად 2014 წელს ბუდაპეშტში ითამაშეს და 12 მონაწილეს შორის ბოლო ადგილი დაიკავეს, 2016 წელს, ბელგრადში კი, საქართველო 16 გუნდს შორის მე-14 იყო.

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– ვთვლი, რომ ახლანდელი რეალის ვარდნა ნორმალური მოვლენაა, რადგან მათ 2-ჯერ ზედიზედ ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ. ამის გარდა ზაფხულში რეალმა 3 კარგი ფეხბურთელი გაყიდა და გაასხვისა, მორატა, პეპე და ხამესი, რადგან ალბათ ხელფასებზე ეკონომია გაეწიათ. მაგრამ მათ არ განუხორციელებიათ დიდი შესყიდვები და იფიქრეს, რომ

იუპ ჰაინკესი: ბუნდესლიგის გუნდებს ევროსარბიელზე წარმატება გაუჭირდებათ

ამას ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპენსირებდნენ. არა – მათ უნდათ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების კარგი ნაზავი. მე მაინც ვთვლი, რომ ჩემპიონთა ლიგაზე რეალის ჩამოწერა არანაირად არ შეიძლება. მათ ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ ევროთასებზე. როდესაც ჩვენ 1998 წელს 32 წლიანი პაუზის შემდეგ პირველად მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის ჩემპიონატში მხოლოდ მე-4 ადგილი დავიკავეთ. ჩემი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ არ შეიძლება მადრიდის არდაფასება...

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ახალ ზელანდიაში გავრცელებული ფრინველი, რომელიც ვერ დაფრინავს; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან იღებენ წითელ საღებავს; 5. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 8. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 9. უბანი ქუთაისში; 12. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

თარაზულად: 1. ჰოლანდიური ლუდი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. ქონება, რომელსაც საპატარძლოს ატანდნენ მშობლები გათხოვებისას; 9. ფრანგი ტიფლო-პედაგოგი, უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი; 10. ლუდის გამონახარში, ალაოს დანალექი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 20. ზღუდე, დაბრკოლება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. აქანდაზი; 7. პროგრესი; 8. ვირუსი; 9. დომრა; 10. მინერალი; 11. კრენდელი; 15. სემიტოლოგი; 17. მიმოზა; 19. ფანატიზმი; 21. ავიცენა; 22. დითირამბი; 23. დავრიში.

შვეულად: 1. აქსიომა; 2. ლიმუზინი; 3. ნოველა; 4. კენია; 5. მიგრანტი; 8. ვარიანტი; 12. ნეკი; 13. კენტავრი; 14. აგრაფი; 16. ვალიუმი; 18. მანია; 20. არია.

სკანვორდის პასუხები:

1. ნიანგი; 2. გაი; 3. ტემპი; 4. პროზა; 5. სიმონია; 6. მარტინ; 7. ტინი; 8. ლაცორია; 9. დია; 10. დუნაი; 11. მინსკი; 12. მერია; 13. ტრიუმი; 14. ალიმენტი; 15. ცენტნერი; 16. ფანტომი; 17. უტიე; 18. ორპირი; 19. აფრა; 20. რაუნდი; 21. ივნისი; 22. პროტეინი; 23. „ფორტე“; 24. ფარ; 25. მარსი; 26. ლემა; 27. მისის; 28. ლიე; 29. რამბულიე; 30. აბა; 31. კაბა; 32. ილი; 33. ვიკუნია.

სურათებზე: მილენ დემონჟო; მაურო სარატე.

ანიტა რაჭველიშვილი: „მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს!“

ეს განცხადება მსოფლიოში აღიარებულმა მეცო-სოპრანომ ანიტა რაჭველიშვილმა გააკეთა და „იავნანას“ მხარდასაჭერ საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა:

– ჩვენ შევიკრიბეთ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. ეს არის ქველმოქმედება, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დღეს ყველა ხელოვანი ერთად ვართ ამ არაჩვეულებრივ სცენაზე. მთავარი მიზეზი, რის გამოც აქ მოვედით, იყო ის, რომ გვეთქვა - საკმარისია! უსამართლოდ, უდანაშაულო ადამიანების დევნა, საკმარისია ცილისწამება და ტყუილი, საკმარისია სიძულვილის დანერგვა ქართველებში! მე გისურვებთ სიყვარულს, გისურვებთ უზარმაზარ სიყვარულს, მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს!

ნიკა გვარამიამ ქეთა თოფურია საქართველოს მტრად გამოაცხადა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია საქართველოს მტრად გამოაცხადა.

ამის მიზეზი ქეთას მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადება გახდა:

– ხალხნო, ბრმა კლოუნები ხართ. დედა საქართველოს სააკაშვილმა მოუ...ნა და არა პუტინმა. მე მაინც არ ვიცნობდე პირადად გიჟს. რომ არ იცით დეტალები, გაჩუმდით. სულ ვცდილობ, რომ ვიყო პოლიტიკისგან შორს, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან

გავბრაზდი, რომ ასეთი რეაქცია მოჰყვა იმას, რომ წადით არჩევნებზეო, დავწერე. იქნება და წადით, პუტინისგან დაიხსენით თავი-თქო, მაგას ვგულისხმობ? იმასაც ვერ ხვდებით, რომ თუ არ წავლენ, უფრო გაუადვილდებათ გაყალბება. კი არ მეშინია მე ჩემი პოზიციის, ახლავე გაგაგებინებთ, რომ ჩემი აზრით, დღეს რომ აირჩიონ სხვა, რუსეთში ცხოვრება იქნება შეუძლებელი. აქ ისეთი ამბავი ატყდება, თქვენ რომ არ დაგესიზმრებათ, 2008 იქნება სიზმარი. ამიტომ, სანამ რამეს დაწერთ, გაერკვიეთ მაინც.

ნიკა გვარამია:

– პირდაპირ ვთქვათ, ეს ქალი საქართველოს მტერია და ამის ეთერში გამომყვანს მოვ...ან დედა.

ნიკა გვარამიას შეფასება არაკაცურ ჟესტად შეაფასა რუსეთში მოღვაწე კომპოზიტორმა გიგა კვენტაძემ:

– მინდა დავგმო მორიგი პროვოკაციული და არაკაცური პოსტი ნიკა გვარამიას მხრიდან, რომელიც გავრცელდა სოციალურ ქსელებში და ეძღვნებოდა ქეთა თოფურიას. არა მარტო ქეთას, რუსეთში მოღვაწე ყველა ხელოვანს.

ბატონო ნიკა, როდესაც სხვის დედებს ეხები და შემდეგ სახლში მიდიხარ, საკუთარი გამზრდელი დედა არ გეუბნება, რომ ხარ უზრდელი და თანამდებობისთვის შეუფერებელი პიროვნება?!

გასულ დედის დღეს გილოცავ ჩემო საქართველო!

აკა მორჩილაძის რომანი კანის კინოფესტივალზე მოხვდა

პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ქართული რომანი კანის კინოფესტივალის სექციაში „შუთ ზი ბუქ“ (გადაიღე ფილმი) მოხვდა.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ქართული რომანი კანის კინოფესტივალის სექციისთვის პირველად შეირჩა და ეს წიგნი აკა მორჩილაძის „ობოლე“ გახდა.

ღონისძიების მიზანია საერთაშორისო საზოგადოებასა და

პროდიუსერებს წარუდგინოს წიგნები, რომლებიც კინოეკრანიზაციად ქცევის პოტენციალით გამოირჩევიან.

მიმდინარე წელს ქართულმა ლიტერატურამ უკვე მეორედ მოიპოვა ასეთი წარმატება საერთაშორისო კინოფესტივალებზე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ახლახან დათო ტურაშვილის „სხვა ამსტერდამი“ ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინა.

აკა მორჩილაძის წიგნი საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლების წინაშე 15 მაისს წარდგება.

რომანის მთავარი გმირი, ირაკლი, მურის ციხისთავების შთამომავალი, მაგრამ გათბილისელებული ბიჭი, ორი დღით ჩადის ერთ პატარა დაბაში ბაბუისეული სახლის ჩატეხილი სახურავის შესაკეთებლად და თავგადასავალიც იწყება...

სახლის სხვენში ასული ძველისძველ თოფს აღმოაჩენს, რომელიც ბიძამ ბავშვობაში ობოლედ გააცნო. ობოლე მურის ციხისთავების ნაქონი, ღამაზი, გრძელლულიანი თოფია, კაჟიანი, სადაფებით გაწყობილი. მშვიდობიანობის დროს კედელზე ეკიდა უმოქმედოდ, ცარიელი, კაჟი კარგა ხნის გაცვეთილი ჰქონდა და ამ თავისი დუმილით ყველა წინანდელი გასროლა გამოისყიდა, ერთხელ კი გასროლის გარეშეც გადაარჩინა ერთ-ერთი პატრონი.

ეს თოფი, ბაბუისეული სახლი და გარსშემოხვეული ისტორიები საოცარ ფანტაზიებს აღუძრავს მთავარ გმირს, რომელიც ისედაც არ უჩივის წარმოსახვის სიმწირეს და ეს ფანტაზიები ნელ-ნელა წარმოუდგენლად იხლართება რეალობაში.

მაგრამ თუ სცენაზე თოფი კიდია, უნდა გაისროლოს კიდეც. გაისვრის ობოლე ბოლოს და ბოლოს?

„მშვიდობა ომზე მეტია“ – საპროტესტო აქციას საქართველოს თეატრები შეუერთდნენ

თავისუფლების მოდანზე რუსეთის მიერ ოკუპირებული, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ფორმირებების მიერ მოკლული ქართველი ჯარისკაცის არჩილ ტატუნაშვილის მიმართ სოლიდარობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა.

22 თებერვალს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უკანონო ფორმირებებმა, ახალგორში საქართველოს სამი მოქალაქე გაიტაცეს, რომელთაგანაც ერთ-ერთი მათ მიერ მოკლული არჩილ ტატუნაშვილი იყო. სეპარატისტული რეჟიმის მტკიცებით, ქართველმა ჯარისკაცმა, დაკითხვის შემდეგ, ცხინვალის იზოლატორში გადაყვანისას, წინააღმდეგობა გაუწია ოსურ მხარეს, რა დროსაც მის წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს, რის შემდეგაც იგი კიბეებზე დაგორდა, ხოლო მისი სიკვდილის მიზეზად გულის უკმარისობას ასახელებენ. სეპარატისტული რეჟიმის ეს განცხადება არის სიცრუე, რადგან დე-ფაქტო ხელისუფლება არ თანხმდება ცხედრის გადმოცემას და არც ქართველ ექსპერტებს აძლევენ ცხედრის დათვალიერების უფლებას.

საქართველოს ხელისუფლება გარდაცვლილი ტატუნაშვილის დაუყოვნებლივ გადმოსვენებასა და საქართველოს ორი დაკავებული მოქალაქის დაუყონებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მარიონეტული რეჟიმები ჩვენს უდანაშაულო თანამოქალაქეებს ხოცავენ. ყველას გვახსოვს ხურჩაში გიგა ოთხოზორიას მკვლელობა და სხვა არაერთი სასტიკი და დაუნდობელი ნაბიჯი სეპარატისტული რეჟიმებისგან.

აქციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოლიდარობის გამოხატვა კიდევ ერთი დაღუპული ქართველის მიმართ, რომელიც შეეწირა ოკუპაციას. კიდევ ერთი ქართველი გახდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძალადობისა და რუსული სისასტიკის მსხვერპლი.

აქციაზე მისული საქართველოს რიგითი მოქალაქეების განცხადებით, აღნიშნულ ფაქტს უნდა მიეცეს მკაცრი რეაგირება როგორც სახელმწიფოსგან, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისგან, რადგან ეს არის დარტყმა სახელმწიფოზე, მის პრინციპებსა და ფასეულობებზე, განვითარებაზე, ქვეყნის წინსვლასა და ჩვენს მშვიდობიან არჩევანზე.

აქციის მთავარი მიზანი იყო ყოველგვარი პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების გარეშე, საქართველოს რიგით მოქალაქეებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია, რადგან, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, მთელმა მსოფლიომ იცოდეს, რომ ქართველები არ არიან ჩუმად, რომ არ უხრიან თავს რუსეთის მხრიდან ოკუპაციას და რომ დაიცავენ თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ინტერესებს.

მდუმარე აქცია „მშვიდობა ომზე მეტია“ საქართველოს 13 ქალაქში გაიმართა და რიგით მოქალაქეებს სხვადასხვა რეგიონის თეატრებიც შეუერთდნენ. ბათუმის მუსიკალური ცენტრის, ჭიათურის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, ზესტაფონის, თელავის თეატრების წარმომადგენლებმა აქციის ორგანიზატორებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. თბილისში კი რამდენიმე მაღაზიამ, რესტორანმა და ბარმა მუშაობა შეაჩერა.

გია ბუღაძე დამთვალიერებელს ახალ ნამუშევრებს წარუდგენს

6 მარტს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მხატვარი გია ბუღაძე დამთვალიერებელს ახალ ნამუშევრებს წარუდგენს.

„ოლიმ“ – ასე ეწოდება გამოფენას. ოლიმ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ოდესღაც“. სიტყვა შეიცავს დროის ორ მიმართებას როგორც წარსულისაკენ, ასევე მომავლისაკენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი გია ბუღაძის ნამუშევრების სერია მეგალოგრაფიაა, რომელიც შედგება 33 დამოუკიდებელი ნამუშევრისგან, რაც მთლიანობაში მიმართულია ერთი მასშტაბური და აქტუალური იდეისა თუ პრობლემის დასმისაკენ.

გია ბუღაძე:

– ევროპაში, და არა მარტო, არსებობს საყოფაცხოვრებო ტრადიცია, ქცევის წესი, როდესაც ბინას ან სახლს დროებით ტოვებენ, ნივთებს, საგნებს, ავეჯს, სარკეებს, ჭაღებს თეთრი მატერიით, სუდარით ფარავენ, რათა შეინახონ, დაიცვან დაზიანებისა და მტვრისაგან იმ დრომდე, ვიდრე შინ დაბრუნდებიან.

ეს გამოფენა არის ვიზუალური მახსოვრობის „თეატრი“, რომელიც გადანახვას და შენახვას ისახავს მიზნად. ამიტომაც გამოვიყენე ამგვარი მეთოდი: წმინდა წერილიდან, კერძოდ კი, სახარებიდან ავიღე სცენები, ისინი ისეთი იკონოგრაფიული ვერსიებით გამოვსახე, რომ ყოველი სცენა იოლად ამოსაცნობი ყოფილიყო. სცენები ტილოზე დავიტანე და თეთრი სუდარა „გადავაფარე“, შევფუთე ერთგვარი სუდარა-ბადით, გადავმალე, გადავინახე, გაცხადება-გახსნის დრომდე შევინახე.

სერია „ოლიმ – ოდესღაც“ შინაარსთა დაფარვა-გახსნას გულისხმობს, როდესაც ის მრავალი იდეა, რომელიც დღეს შენახული და დაფარულია, გაიხსნება და აიხსნება. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი შინ დაბრუნების დრო დადგება.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სამგლოვიარო განცხადებები

ქეთევან ლომაშვილი, თალიკო კარბელაშვილი, მიშა ქავთარია, ლულუ მენთეშაშვილი, რუსიკო კაპანაძე, ლალი პაპასკირი, ლალი ნასარიძე, ქეთინო, მანანა ცაცრიშვილები, იდელა ქვაჩახია, ლიანა ჩიხლაძე, იზა სემიკინა, ჩიტო გოგინავა, ფერიდე ბაბუნაშვილი, დარეჯან ჯიბლაძე, დოდო მირცხულავა, გივი ბოჯგუა იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ლამარა გამსახურდიას

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.4634
- ევრო — 3.0268
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3951
- 100 რუსული რუბლი — 4.3429

ამინდის პროგნოზი 6 მარტისთვის

27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

8 მარტიდან

60 ამბავი უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი

მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანეკდოტი

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რომელი უფრო ძლიერია, ჩვენი კატა თუ ხარი?

– შვილო, ლოგიკურად უნდა იმსჯელო: კატის საკვებში საქონლის ხორცის ნაჭრები ხომ გაქვს ნანახი?

– კი, მამა.

– და საქონლის საკვებში კატის ხორცი არის?

– არა.

– ჰოდა, აქედან დასკვნა შენ გამოიტანე.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე?

– მინდა, მსახური გავხდე.

– რას ამბობ, შენ ხომ არაფრის გაკეთება გეხერხება!

– ხალხის მსახური მინდა გავხდე.

•••

მეგობრები სანადიროდ წავიდნენ, ვერაფერი მოინადირეს, დათვრნენ, მდინარის ნაპირთან დადგნენ და მეორე ნაპირზე ბუჩქებს დაუწყეს სროლა. უცბად ბუჩქებიდან კაცი გამოვარდა, გაიქცა და პატარა გორაკს მოეფარა. მონადირეები შეშინდნენ და ერთ-ერთმა კაცს გასძახა:

– ეეიიი, შენ, ცოცხალი ხარ?

– არა, ქართველი ვარ, ქართველი!!!

•••

ჩანაწერი ტელეფონის ავტომოპასუხეზე:

„შესაძლოა სახლში ვარ, მაგრამ ერთ საზიზღარ ადამიანთან დალაპარაკება არ მსურს. დამიტოვეთ შეტყობინება და, თუ არ გადმოგირეკეთ, ის ადამიანი თქვენ ხართ“.

•••

კაცს მანქანის განვადებით ყიდვა უნდა, მაგრამ პირველად შესატანზე ფული აკლდება. ამ დროს ცოლი ეუბნება:

– ძვირფასო, მაგაზე არ ინერვიულო, ანგარიშზე ხუთი ათასი დოლარი მაქვს გადადებული.

– ხუთი ათასი? საიდან ასეთი თანხა?

– იცი, საყვარელო, შეიძლება ეს მეტისმეტად სენტიმენტალურია, მაგრამ თავს უფლება მივეცი, შენთან ყოველი სექსის შემდეგ ერთი დოლარი გადამედო.

– ღმერთო ჩემო, ეს რომ მცოდნოდა, სამსახურს თავს დავანებებდი და საწოლიდან არ წამოვდგებოდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


ლიონელ მესი
ბარსელონა
ლეგენდა
ბურთი
ბალანსი
ბრაზილია
ბარსელონა
ბრაზილია
ბარსელონა
ბრაზილია
ბარსელონა